# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 239 ოთხშაბათი, 28 ოქტომბერი 1909 წ. № 239

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე-პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ხ. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და სახამეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან [illegible] თი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ზება. ინახება ერთის თვით მხოლოდ [illegible] მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დ[ი]ლის 10 საათიდან საღამოვის 3 საათამდე. ადრესის გ[ა]მოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА»

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ოქტომბრიდან წლის ბოლომდე 3 მან., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

### „დროების" კანტორისაგან.

წლიურ ხელის მომწერთ, ვისაც სრულად არა აქვს ფული შემოტანილი, გაზეთი აღარ გაეგზავნებათ. ● ყოველ თვის პირველ რიცხვიდან გაზეთი აღარ ეგზავნება ვისაც დამდეგ თვის ხვედრი ფული შემოტანილი არა აქვს. ● ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა. ● გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე საჭიროა ხელის მომწერმა კანტორას აცნობოს, რომ მომავლისთვის ყურადღება მიექცეს.

წარმოდგენა № 11. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 11.

ხუთშაბათს, 29 ოქტომბერს, 1909 წელს.

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

პირველად ახალი პიესა ჰეერმანსისა.

## იმედის დაღუპვა

დრამა 4 მოქმედებად თარგ. დ. მესხისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ბ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი, ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ბ. შოთაძე; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, გრიშაშვილი, ნ. გვარამე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი, იმედაშვილი-ხამშელი, ვ. მატარაძე, შ. საფაროვი, მურვანიშვილი.

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსად. „კოჩრიანი ტროოლა".

მორიგი რეჟისორი კ. მესხი. რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ბალარჯიშვილი გ. დ. შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; კვ. გარდა 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ, ოთხშ. და პარას. 2—2½ ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გირდა პარას. 2—2½ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოვ. დღ. 9—10 ს.

სობოლევსკი გ. ვ. ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

თიკანაძე ი. ე. დედაკ. სამებიო ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ. მიკრ, ქირ.-პაქტ. გამოკვლევა. (100—6.—23)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

ღირებან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ს. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. ვ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშ., და შაბ. 2—2½ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—191)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ამბროლის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—283)

**ექიმი** კ. ს. ფონ-ირტელი არჩენს სპეც. თირკმ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძველ., მონუმენტის შეს. N 5, ს. მაფრანოვისა, ზუფ. გვერდზე. (100—ზალ.—34)

**ექიმი** ი. ნ. ეგიაზაროვის ელექტრო-თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—44)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გორჩნო, N 9. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყდრდანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—6.—93)

**ექიმი**-სპეციალისტი ქ. ქუთაისში ჩარექოვი იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა) აბულაძის მესახვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს., საღამ. 5—6 ს. (25—ფ.—16)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—35)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—39)

**ექიმა** ქუთაისში. ვოლოხვა ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება. დილით 10—12 ს., წოლო საღამოთი 5—7 ს. კვირაობით მიიღება მხოლოდ 1-მდე. (25—კვ.—15)

## ს. სუმბათოვოში

16 ოქტომბერს გადაიწვა სახერხავი ქარხანა, რადგან ხმა გავრცელდა, ვითომც მეც ვიყო დამწვარ ქარხნის მონაწილე, ამისათვის ვაცხადებ: დაწესებულებათა, მუშტართა და საზოგადოების

## საყურადღებოდ,

რომ მე ამა წლის 12 იანვრიდან ნოტარიუსის წესით ხსენებული ქარხანა გადავეცი სრულს მის პასუხის-მგებლობაში ჩემს ძმას ილარიონ ალექსანდრეს ძე საბახტარიშვილს, და მე არა ვალდებული არავითარ მის სავაჭრო საქმეში გავერიო. ყოველ-გვარ აღებ-მიცემობის სრული პასუხის-მგებელია ის და მე მასთან შეწყვეტილი მაქვს ვაჭრული კავშირი.

გიორგი ძმ. საბახტარიშვილი.

(2—520—1)

## 1909 წლის „ნაკადული" პრემია

„რას გვიამბობს ოთახი" ავენარიუსით, დაიბეჭდა და ამ მოკლე ხანში დარიგდება, ვინც სრულად არ წარმოადგენს ფულს, პრემიას არ მიიღებს. (3—1)

**ექიმი** გ. მაგაკიანი. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—45)

**ექიმი** ლ. ნ. ოჰანჯანოვი ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—48)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

ავადმყოფთა მიღება:

მ. ალაჯაჯანოვი—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

ნ. ათენციანცი—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

ვ. ვნუკოვი—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

ი. ეგიაზაროვი—ნერ. და შინ. 11—12 ს.

მ. კიმონტი—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

მ. მაგაკიანი—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ლ. მონინა—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

ა. კალმიკოვა-ვნუკოვა— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—46)

ქუთაისში

კბილის ექიმის დ. ს. რაჟინაშვილის კაბინეტთან გაიხსნა

## სამკურნალო

პირის და კბილების სენისა, პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. ვიტუშინსკის აფთიაქის გვერდით. (100—6.—30)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (მ—კვ.—90)

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში 9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიაზეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—15)

**ექიმი** ზ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

◆ სახალხო სახლი ◆

ძმ. ზუბალაშვილებისა

ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ პარასკევს, 30 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქნება

## ცხოვრების გმირი

დრ. 3 მოქ. კარეევისა, თარ. ჩიკვაიძისა.

## ექიმთან

კომედია ივ. გომართელისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი ო. ალხაზიშვილი, ნ. ბაქრაძე, ო. გოგოლაშვილი, ა. კავთელი, მ. მარგველაშვილი, ტ. ნაგინაშვილი, მ. ქართველიშვილი, და მ. ციმაკურიძე; ბ-ნნი გ. ანდღშვილი, გ გელიკურაშვილი, გომელაური, გ. გოგია, ა. მეტრეველი, ვ. მატარაძე, მირველოვი, ზ. პეპანოვი, ს. რომანოვი, რ. ხალაყაია, მ. შალიკოვი, ნ. ჭანკვეტაძე და ჯიბლაძე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

(4—3) გამგე ა. ყორანაშვილი.

## პოეზიის სამფლობელოში.

(გ. რობაქიძის ლექციის გამო.)

იყო დრო როდესაც ქართველ საზოგადოებაში პოეზიის შესახებ ფრიად უთავბოლო აზრები იყო გავრცელებული. ეს ის დრო იყო, როდესაც ყოველივეს,—სულიერ შემოქმედებას ისე, როგორც პრაქტიკულ მოღვაწეობას,—ტლანქ სარგებლობის საზომით ზომავდნენ და და როდესაც, რუსის მწერალის პისარევის ზეგავლენით, კარგად შეკერილ წაღას უფრო მნიშვნელოვან საგნად სთვლიდნენ, ვიდრე შექსპირის ამა თუ იმ ცნობილ დრამას. მესამოცე წლებში ჟურნალ „ცისკარ"-ში ლექსების მთხზველთა წინააღმდეგ წერილებიც კი იბეჭდებოდა. მაგრამ ეს მოვლენა არ იყო საყოველთაო. ისტორიკოსი დიმ. ბაქრაძე თავის ერთ „ისტორიულ მიმოხილვაში" ქებით იხსენიებს ბარბარე ჯორჯაძეს, რომელიც გამოექომაგა პოეზიას და მოლექსეებს. „პატივის საცემი ავტორი, ამბობს დიმ. ბაქრაძე თავისს „გარკვევაში" (იმავ „ცისკარში"), არღვევს უ. არდაზიანის კრიტიკას, რომლითაც ვითომც ის აღკრძალავს ლექსების საჭიროებას. თავისის სიტყვის დასამტკიცებლად ბუნებითს წესს იხსენიებს, რომელსაც ადამიანში სხვა და სხვა ნიჭი დაუნერგია. კნ. ჯორჯაძისა ჰშიშობს, რომ ამ გვარმა უსაფუძვლო და აჩქარებულმა კრიტიკამ ახლად დაწესებული საქმე არ დაამციროსო (ჟურნალ „ცისკარის" საქმე). ამ სიტყვების დაწერის შემდეგ განვლო ორმოცდა ათმა წელმა. ამ ხნის განმავლობაში იმდენად გავიზარდენით, რომ დღეს ზემოდ აღნიშნული ფაქტი პოეზიის შელახვისა და უარ-ყოფისა „კურიოზად" გვეჩვენება და ჩვენს საზოგადოებაში აღარ მოიპოვება იმგვარი ჯგუფი, თუ მწერალი, რომლის თვალში ლექსის წერა და ლექსებით დატკბობა ფუჭი და უმნიშვნელო საქმე ყოფილიყოს. საზოგადოება იმდენად მომწიფდა, რომ მზად არის სამი და ოთხი საათის განმავლობაში უსმინოს პოეზიის შესახებ სჯა-ბაასს, უსმინოს არა ისე, როგორც შეგირდები უსმენენ მასწავლებლის გაკვეთილს, არამედ შეგნებულად, ჩაფიქრებით, უნდობლობის და თანაგრძნობის გამოაშკარავების უნარით.

ასეთი იყო აუდიტორია გრ. რობაქიძის ლექციაზე. ქართულ თეატრის დარბაზში შეგროვდა რჩეული ქართველი საზოგადოება, ამ სიტყვის უკეთესის მნიშვნელობით. მოვიდა ლექციაზე ბევრი იმათგანი, ვისაც ვრთვნულ მწერლობის სვე-ბედი აფიქრებს, ვინც პოეზიაში ეძებს პასუხს იმის შესახებ, რაც სულიერ სიღრმეში გამოუცნობელ ამოცანად ეჩვენება, ვინც ეტრფიალება ოცნებას და ოცნებისადმი სიყვარულში ჰპოვებს ნუგეშს და შვებას. დიაღ, ასეთი იყო შაბათის აუდიტორია ქართულს თეატრში. და ამისი მიზეზი ის იყო, რომ ლექციის საგანი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია იყო—პოეზია, რომელიც თავის „შეწუხებულის მშვენიერებების" დაუშრეტელ წყაროთი ასე ატკბობს და იზიდავს ადამიანს,—აგრეთვე ის, რომ ლექტორად გამოვიდა გრ. რობაქიძე, ადამიანი ნიჭით დაჯილდოვებული, ხოლო ამასთან იმგვარი ტიპისა, რომელიც დღემდე გამოუცნობელი რჩება ქართველ საზოგადოებისათვის, გამოუცნობელი მისტიკურ ფილოსოფიის წყალობით, რომელსაც აღიარებს იგი და რომელიც ჩვენი საზოგადოებისთვის სრულიად ახალ და დღემდე თითქმის უცნობ იდეიურ მოვლენად ჩაითვლება.

შაბათის სალიტერატურო საღამო კიდევ იმით იზიდავდა ხალხს, რომ აქ გამოვიდნენ საზოგადოების წინაშე ლექსების ცნობილი მთქმელი თ. ნიკოლოზ ერისთავი და ქართველი მწერალი ივ. გომართელი, რომელმაც თავის მხრივ, მოკლედ, მაგრამ შინაარსიანად და ფრიად გულწრფელის კილოთი დაახასიათა მგოსნის პოეზიის მნიშვნელობა. ივ. გომართელის სიტყვა იყო საინტერესო, განსაკუთრებით იმ მხრივ, რომ მან შეაჩერა მსმენელის ყურადღება ნ. ბარათაშვილის პოეზიის და მელანქოლიის წყაროზე და ის აზრი გამოსთქვა, რომ მგოსნის პოეზიის გენეზისს უნდა ვეძებდეთ იმ დროინდელ საქართველოს სოციალ-პოლიტიკურ უნუგეშო მდგომარეობაში. საქართველო პოლიტიკურად აღარ არსებობდა, ვისი იმედიც ჰქონდა, მასზე გული აუცრუვდა. ვისაც დასაწყისში სიხარულით ეგებებოდა ხსნის იმედით, მის წინააღმდეგ იყო იძულებული იარაღი აეხსნა და როდესაც ამ აჯანყებიდანაც არა გამოვიდა რა და ეროვნული ცხოვრება მეტად დაკნინდა და დაქვეითდა, საზოგადოება ჯერ სასოწარკვეთილებას მიეცა და შემდგომ კი, იდეალებს მოკლებული და შინაგან სენით დასნეულებული, უდარდელ ცხოვრებას დაეწაფა. სმა ჭამა, ქეიფი, დროს გატარება, ჰირიკანობა გამეფდა ყველგან. აი ამ გარემოში აღიზარდა ნ. ბარათაშვილი და მისი ნაღველი და მისი სევდა-კაეშანი საზოგადოებრივ დაქვეითებას წინააღმდეგ პროტესტია. ეს საზოგადოება ასაზრდოებს მის მელანქოლიას და აქედგან წარმოსდგა მგოსნის პესიმიზმი და სასოწარკვეთილებაო. ასეთი იყო ივ. გომართლის თვალთსაზრისი. და თუმცა ამ განმარტებას სავსებით ვერ დაეთანხმა დამსწრე საზოგადოება, მაგრამ ცნობის მოყვარეობა უკვე აღძრული იყო და ყველა მოუთმენლად ელოდა გრ. რობაქიძის გამოსვლას. ყველას აინტერესებდა, რას იტყვის იმავ საგნის შესახებ ადამიანი, რომელიც სხვა ფილოსოფიურ ნიადაგზე სდგას და ივ. გომართლის რეალიზმით დაკმაყოფილებული არ უნდა ყოფილიყო.

გრ. რობაქიძის ლექციის პირველმა ნაწილმა საზოგადოებას ვერ ასიამოვნა. პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ცოტა არ იყოს, უხერხული იყო, ასე რომ პირველ ხანში მიუდგომელ მსჯელობის უნარიც კი დაუკარგა მსმენელს. უხერხულობა წარმოსდგა ბუნებრივობის დარღვევისაგან. ლექტორმა დაიწყო თავისი სიტყვა ამაღლებულის, პათეტიურის კილოთი, რაიც ქართულ საუბარს, დინჯს, ტკბილს და დამშვიდებულს,—დამშვიდებულს თვით აღფრთოვანების მომენტებშიაც, სრულიად არ ეგუება. აშკარაა, ლექტორი ძლიერ აღელვებული იყო და ეს თავისი აღელვება დასაწყისში ვერ შეიკავა, რის გამოც ცოტა არ იყოს, გადალახა ესტეტიურ მოთხოვნილების ზომა და ბუნებრივობა. მაგრამ, საბედნიეროდ, გრ. რობაქიძემ თანდათან სძლია ამ ნაკლს და ლექციის მეორე და მესამე ნაწილში ნამდვილი არტისტი და ბატონი იყო თავის სიტყვისა. და საზოგადოებასაც უკმაყოფილება აღარ ეტყობოდა, პირ-იქით, აშკარა იყო, რომ შეკრებილი ხალხი ლექტორთან ერთად იმსჭვალებოდა ერთის აზრით და მისწრაფებით. ეს გრ. რობაქიძის ორატორულ ნიჭიერებას უნდა მივაწეროთ, რასაც სიამოვნებით აღვნიშნავთ. მაგრამ ამავე დროს ამ გარემოებამ ხელი არ უნდა შეგვიშალოს მიუდგომელი მსჯავრი დავდოთ ლექციის საზოგადო ავკარგიანობაზე.

საყურადღებო ის იყო, რომ მისტიკოსი-იდეალისტი, გრ. რობაქიძე, თითქმის იმავ საფუძველზე იდგა, რა საფუძველზედაც ვნახეთ ჩვენ მატერიალისტი და რეალისტი ივ. გომართელი. ლექციის პირველი ნაწილი ეხებოდა მგოსნის სულიერ განცდის ანალიზს იმდენად, რამდენადაც ეს ანალიზი ნათელს ჰფენდა პოეტის სულიერ დრამის გენეზისის საკითხს. რამ შეჰქმნა ბარათაშვილის პოეზია, სად უნდა ვეძებოთ მიზეზი ამ პოეზიის ნაღვლიანობისა, საიდან წარმოსდგა წყურვილი ძებნისა, გრძნობა მარადისობისა და ამაოებისა? გრ. რობაქიძეც გომართელსავით მიგვითითებს იმ დროინდელ საზოგადოების ვითარებაზე. წარსულში იყო თავისუფლება და დიდება, აწმყოში მონობა და გახრწნილება. აზრის ილუსტრაციისთვის ლექტორმა ძველი ელადაც გაგვახსენა. რას უნდა გრძნობდეს ადამიანი, თანამედროვე საბერძნეთში რომ წავიდეს და ყოველ ნაბიჯზე წარსულის დიდების ნანგრევებს ხედავდეს. „წარსული აღვიძებს რომანტიულ გრძნობას მარადისობისას, აწმყო საშინელს ფიქრს ცხოვრების ამაოებისას". ბარათაშვილის დროინდელი საქართველოც პოეტს სწორედ ამ გრძნობებს უღვიძებდა გულში. „გრძნობა მარადიულისა და ფიქრი წარმავალისათვის—აი მთავარი ჰანგი მგოსნის ჩანგისაო".

ამრიგად, გრ. რობაქიძემ ივ. გომართელსავით მიზეზობრივის კავშირით დააკავშირა, ისტორიული პირობები, საზოგადოებრივი გარემო და მგოსნის პოეზიის და სულიერ დრამის შინაარსი. პოეტის პესიმიზმი და მსოფლმხედველობა გამოყვანილია პოლიტიკო-სოციალურ პირობებიდან. როდესაც ივ. გომართელმა აღიარა ეს აზრი, ჩვენ არ გაგვკვირდა, გრ. რობაქიძემ კი სწორედ გაგვაოცა. მისტიკოს-იდეალისტი და ამგვარი მეთოდი! ერთი მეორეს არ შეესაბამება. რეალურ პირობებს, რა თქმა უნდა, დიდი გავლენა აქვს ადამიანის პიროვნების შემუშავებაში. ამ პიროვნების ზეგავლენით ხშირად იღვიძებს ადამიანის გულში უკმაყოფილება, მაგრამ იმისი აღიარება, რომ სოციალ-პოლიტიკური წყობილება ლოღიკურად არის დაკავშირებული „მარადისობის" და „ამაოების" პრობლემასთან, მაინც შეუძლებელია. ამ აზრზე რომ დავდგეთ, იძულებული ვიქნებით ვაღ-

ვიაროთ, რომ პესიმიზმი და მარადიულის ძებნა მხოლოდ იქ იჩენს თავს, სადაც სოციალ-პოლიტიკური წრე საკმარისს პესსიმისტურ საკვებს იძლევა. ამ შემთხვევაში ჩვენთვის გაუგებარი დარჩებოდა ინგლისელ პოეტის შელლის პოეზია, რომელშიაც იგივე ღრმა უკმაყოფილება, იგივე სევდა და იგივე სურვილი საზღვარ-დადებულ ბუნების გად ლახვისა. შელლი კი ამაყ ბრიტანიის შვილი იყო, იმ ბრიტანიისა, რომელიც მის დროს (1792—1822) განსაკუთრებულის ძლიერების პატრონი იყო. მაშ ეტყობა, ლოღიკურ კავშირის გაბმა მოუხერხებელია ერთის მხრივ, ამაოება-წარმავლისა და მარადიულის აზრთა და, მეორეს მხრივ, სოციალ-პოლიტიკურ გარემოს შორის. ლ. ანდრეევი ერთს თავის გმირის პირით ამბობს: საკვირველია, ამ კონსტიტუციის მოპოვებას თავებს რისთვის ვაკლავთ. განა კონსტიტუცია მომცემს ბედნიერებას, მოსპობს სიკვდილს, რომელიც გვემუქრის ყველას, როგორც კონსტიტუციის მქონებელს ისე ამ კონსტიტუციას მოკლებულს. მაშ თუ კონსტიტუცია სიკვდილს ვერ დასთრგუნავს, — ჩემი ბედნიერება კი შეუძლებელია, სანამ სიკვდილს ვხედავ ჩემს წინაშე,—თავს რაზე ვიმტვრევ იმ საგნის მოპოებისათვის, რომელსაც ჩემის ბედნიერებისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. და არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ თუ მართალია ის, რომ სიკვდილია მთავარი პრობლემა ადამიანის სიცოცხლისა, ლოღიკური მსჯელობა ანდრეევის გმირისა ჭეშმარიტია. კონსტიტუცია, პოლიტიკური დამოუკიდებლობა გინდ სოციალიზმის დამყარება ვერ დააშოშმინებს ადამიანის გულს, ინდივიდუალობით შევიწროებულს, სიკვდილის წინაშე მდგომარეს და ამ სიკვდილის დათრგუნვის სურვილით შეპყრობილს.

და სწორეთ ამგვარ კითხვებს ეწაფებიან ხოლმე დიდი პოეტები. ჩვენთვის, არა-პოეტებისთვის, ამგვარი თვალთსაზრისი სავალდებულო არ არის. ჩვენ ვიღებთ სიცოცხლეს ისეთს, როგორიც არის იგი და თუმცა სიკვდილის პრობლემა ჩვენს წინაშედაც სდგას გამოუცნობელი, მაგრამ თვით სიცოცხლეში, სანამ იგი ჩვენს ხელშია, თვითმოქმედებასა და მოძრაობაში იმდენს ძალას და მშვენიერებას ვხედავთ, რომ ამ განუწყვეტელ შემოქმედების პროცესში ვპოვებთ სიცოცხლის ჰარმონიას და აზრს. და სიკვდილი არ გვაშინებს, რადგან, ერთის ბრძენისა არ იყოს, სანამ ჩვენა ვართ, სიკვდილი არ არის, და როდესაც სიკვდილი მოდის, ჩვენ აღარა ვიქნებით. ბაზაროვი სხვანაირადაც ინუგეშებდა გულს: Помру и изъ меня будетъ рости лопухъ!-ო

მაგრამ პოეტებს ყოველივე ეს ვერ აკმაყოფილებს. და ბარათაშვილი იმ პოეტთაგანი იყო, რომელიც სიცოცხლის ზემოდანიშნულ შეფასებიდან გამოდიოდა და მისი პოეტიური ჩივი და მისი ძებნა მ რადიულისა და მისი სასოწარკვეთილება სიცოცხლის ამაოების გამო, გამოწვეული იყო პოეტის ერთგვარ ფილოსოფიურ მიდრეკილებით და მის ლირის ესტეტიურის ღრმაჩახედულებით. გრ. რობაქიძემ ამ საკითხს საკმარისი ნათელი ვერ მოჰფინა და ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, თითქოს მარტოოდენ პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დაკარგვას შეეძლო ბარათაშვილის გულში შეექმნა და შეემუშავებინა შინაარსი მგოსნის პოეტიურ შემოქმედებისა.

საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძე, რომელმაც მოგვცა მოკლე და საკვირველის ზომით და ჩაფიქრებით დაწერილი წერილი ნ. ბარათაშვილის პოეზიის შესახებ, პოლიტიკურ ვითარების მნიშვნელობას პოეტის ჩანგის შემუშავებაში უკანასკნელ ადგილს აკუთვნებს. იგი წერილის ბოლოში ამბობს: „არც ნ. ბარათაშვილი იყო უიმისო, რომ გულში დარდათ არა ჰქონოდა ბედი ქართლისა, ბედი მის მამულისა“. ამის შესახებ პოეტი „ბევრს საგულისხმო რასმე გვეუბნება და ქართველის ამომშრალს გულში ბევრს ნამს ნატვრისას და ნახვისას აწვეთებსო“. ბოლოს „ახალ ქართლის“ ყოფაცხოვრებას თითქოს შეურიგდა პოეტი, მაგრამ ესეც კი მისი ნათქვამია: „რა ხელ ჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული“. როგორც ხედავთ, ილია ჭავჭავაძე ხაზს არ უსვამს პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დაკარგვის გარემოებას და აქედან არ გამოჰყავს პოეტის სულის კვეთების შინაარსი. ილიას აზრით ვაება კაცობრიობისა ის არის, რომ მიჯნი აქვს ძებნისა, ეძებს და ვერ უპოვნია. „აი სად არის სათავე ადამიანის სასოწარკვეთილებისა, ყოველისფრის უარჰყოფისა, რომელიც ზოგჯერ, ხან და ხან, ასე დაიპყრობს ხოლმე მთელს მოაზრე კაცობრიობასა და შავად მღელვარის ფიქრებით ავსებს ადამიანის ცხოვრებასაო“.

გრ. რობაქიძე ლექციის მეორე და მესამე ნაწილში მშვენივრად და სავსებით დაახასიათა ეს მხარე ნ. ბარათაშვილის პოეზიისა. შეუდარებელი იყო მისი ანალიზი სიყვარულისა და პოეტის სულიერ დრამის გაღრმავებისა იმის გამო, რომ სიყვარულში ვერ ჰპოვა მან ის, რასაც ეძებდა. შეუდარებელი იყო აგრეთვე ბუნების სიახლოვით გამოწვეული გრძნობების ანალიზიც და ის, რომ ვერც ბუნების ციაგსა შორის ჰპოვა პოეტმა სულის მყუდროება და სიმშვიდე. მაგრამ ყოველივე ეს არაფერს უმატებდა იმ განმარტებაში, რომელიც გრ. რობაქიძემ მისცა ნ. ბარათაშვილის პოეზიის გენეზისს ლექციის პირველ ნაწილში. მსმენელი აქაც დარჩა იმ შთაბეჭდილების ქვეშ, რომ მხოლოდ „წარსული აღვიძებს რომანტიულ გრძნობას მარადისობისას და აწმყო კი საშინელს ფიქრს ცხოვრების ამაოებისას“. ილია ჭავჭავაძე, როგორცა ვსთქვით, სხვაგან ეძებს გენეზისს ბარათაშვილის ლირიკისას. „განა შეტყობა იმისი თუ, —რა არის ცაში, ან ცას იქით, ამბობს იგი,—მუდამის წყურვილით შესატყობარი არ არის ერთობ ადამიანისათვის? განა ამის ვერ მიხწევის უღონობა ზოგად-კაცობრიული ჩივილი არ არის უძლურებისა? განა ამაებში ტრიალი გონებისა არ არის ზოგად-კაცობრიობის გაუთავებელი ტრიალი იმ საიდუმლოების უძირო მორევში, რომელსაც არც თავი აქვს, არც ბოლო, არც ჰო და არც არაო“?

ჩვენ ილია ჭავჭავაძის განმარტება ნ. ბარათაშვილის პოეზიისა უფრო მართებულ და ჭეშმარიტ განმარტებად მიგვაჩნია, ვიდრე ის, რომელიც მხატვრულის ფორმით და კეთილშობილურის აღფრთოვანებით გადაგვიშალა შაბათს სალამოს ლექციაზე გრ. რობაქიძემ.

ილია ჭავჭავაძის განმარტების უპირატესობა სჩანს აგრეთვე იქიდანაც, თუ როგორ ხსნის იგი ბარათაშვილის „მერანის“ შინაარს. გრ. რობაქიძის აზრით, „მერან“-ში იხატება პოეტის უკიდურესი სასოწარკვეთილება. მან ვერ ჰპოვა ნუგეში ვერც სიყვარულში, ვერც ბუნების ჭვრეტაში, ვერც რელიგიაში. „ბარათაშვილის სულის კვეთება მის სასოწარკვეთად იქცევა. იგი მოსწყდა მსოფლიოს და უფსკრულში უნდა შთაინთქას. ამ თავის-მკვლელობის წინ იგი უხმობს თავის პოეტურ ფანტაზიას, თავის მერანს, რომ ქვეყნიდან გადაფრინდესო“. ასეთია აზრი ლექტორისა. ილია ჭავჭავაძის შეხედულებით კი „მერან“-ში პოეტი „ბედს უცხადებს ომს“, და ეს ლექსი სასოწარკვეთილების გამომხატველი არ არის, მასში უფრო „ზეკაცობისადმი“ მისწრაფებაა ჩასახულიო. ილია ამბობს: „აშკარაა, საზღვარ-დადებული სიგრძე-სიგანე ადამიანის აზროვნებისა ჩვენის პოეტის „სულის კვეთებას“ ვერ იტევს. მას სწყურს ეს **საზღვარი ბედისა გაარღვიოს** (ხაზი ჩვენია) და ნიავს მისცეს თავისი „შავად-მღელვარე ფიქრი“, რომ დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს. ბაირონის კაინმა ამისთვის ლუციფერი აირჩია, გეტეს ფაუსტმა—მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა თავისი „მერანი“, ე. ი. თავისი სულის ქროლვა. პოეტი ჰნუგეშობს, „რომ ეს გაძალიანება, ეს თავგანწირულება, ეს „სულისკვეთება“, ეს **პირდაპირი ომი ბედთან** ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის-ო“. როგორც ხედავთ, აქ „უფსკრულში შთანთქვის“ სურვილი არა სჩანს და ილია ჭავჭავაძემაც ხაზი სწორედ ამ გარემოებას გაუსვა.

ერთ ახალგაზრდა, ქკვიან მწერლის, გერონტი ქიქოძის წერილში „ტრაგიკული გრძნობა ქართულს პოეზიაში“ ამნაირადვე არის განმარტებული ბარათაშვილის „მერანი“. „ესაა ბრძოლა მესი თავის თავთან, ამბობს ქიქოძე, თავის საბედისწერო საზღვრებთან, ტრაგიკული კონფლიქტი, რომლის ახსნა ან დაცხრობა ყოვლად შეუძლებელიაო“.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილა გრ. რობაქიძის ლექციის ზოგიერთა დებულებამ და აზრმა, არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ ამ და სხვა მის მსგავს ლექციებს ქართულ ლიტერატურისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. სასიამოვნოა, რომ გამოჩნდა კაცი, რომელიც კარგის, მკაფიო გამოსახულის ენით, ესაუბრება საზოგადოებას პოეზიის და ხელოვნების შესახებ. სასიამოვნოა, რომ ჩვენში გაჩნდა უკვე იმგვარი აუდიტორია, რომლისათვისაც საინტერესონი ხდებიან ცხოვრებისა და ხელოვნების ღრმა პრობლემები. ამ საქმეში გრ. რობაქიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის და მადლობის მეტი არა ეთქმის-რა.

**არჩილ ჯორჯაძე.**

## სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

**პირობითი დასჯა.**

26 ოქტომბერს სათათბირომ განაგრძო კამათი ამ საინტერესო პროექტის შესახებ. ილაპარაკა მრავალმა ორატორმა. უნდა მოვიხსენიოთ, რომ ხსენებული პროექტი სამინისტრომ შეიმუშავა, მაგრამ სათათბიროს კომისიამ იგი რამდენადმე გააფართოვა კამათი უმთავრესად ამ გაფართოებაზე ტრიალებდა. ოქტომბრისტები, კადეტები და მემარცხენენი მხარს უჭერდნენ კომისიის პროექტს. ზომიერი და უკიდურესი მემარჯვენენი—მთავრობის პროექტს.

საინტერესო იყო მემარჯვენეთა აზრი. ისინი თითქმის ერთხმად აცხადებდნენ, რომ პრინციპი კარგია, მაგრამ კომისიამ დაამახინჯა იგიო. ასე ამბობდნენ, მაგრამ იმათ სიტყვებიდან აშკარად გამოდიოდა, რომ თითონ პრინციპიც ეჯავრებათ. პურიშკევიჩმა პირდაპირ განაცხადა, რომ ეს პროექტი ხრიკია, იგი თვალთმაქცური აბსინტიაო. ამავე აზრისა იყო ეპისკოპოსი მიტროფანე. ამ სულიერმა მამამ პრინციპი პირობით დასჯისა მოიწონა, მაგრამ ყოველ იმის სიტყვაში, როგორც დეპ. გეგეჭკორმა აღნიშნა, სიძულილი იხატებოდა. აი, სხვათა შორის, რა ბრძანა ამ ეპისკოპოსმა: კანონი პირობით დასჯის შესახებ არ შეიძლება გავრცელდეს პოლიტიკურებზე. ცალკე სენაკში ჩამწყვდევა აფხიზლებს და გონებაზე აყენებს დამნაშავე ჭაბუკს. იგი ამ დროს თავისუფალია მავნე პარტიის გავლენისაგანაო.

მშვენიერი პასუხი გასცეს ეპის. მიტროფანეს და მის მსგავსებს დეპ. კარაულოვმა და უბრალო გლეხმა გულკინმა. პირველმა მოაგონა ეპისკოპოსს, რომ მან დაივიწყებას მისცა ქრისტე და მისი მცნებანი, სადაც არც-კი ნახმარი სიტყვები „დამნაშავე“ და „დანაშაულება“ და ლაპარაკია მხოლოდ „ცოდვაზე“ და „ცოდვილებზე“, ხოლო მეორემ, გულკინმა სამღვთო წერილის სიტყვებით დაუმტკიცა, რომ პირობით დასჯის ინიციატორი იყო იესო ქრისტე, რომელმაც სთქვა: „წადი და ნუღარ შესცოდავო“.

ილაპარაკეს აგრეთვე გეგეჭკორმა, მაკლაკოვმა, ანდრონოვმა, იუსტიციის მინისტრმა და სხვებმა.

ორატორების რიცხვი შემცირეს და კამათი საერთოდ პროექტზე ამავე დღეს გათავდა. სათათბირომ დიდის ხმის უმრავლესობით (მოწინააღმდეგენი მარტო მემარჯვენენი იყვნენ) მიიღო პროექტი და გადავიდა მის მუხლებრივ განხილვაზე. ამ სალამოს სამი მუხლის განხილვა მოასწრეს. პირველ მუხლის განხილვის დროს მიღებულ იქმნა წინადადება—პირობით დასჯა გავრცელდეს იმათზედაც, რომელთაც ციხეში დაპატიმრებას გადაუწყვეტენ.

დღეს, 28 ოქტომბერს, მოხდება სათათბიროს მეცხრე სხდომა. ამ სხდომაზე სათათბირო განაგრძობს ზემოხსენებულ პროექტის განხილვას. უნდა განიხილონ აგრეთვე შეკითხვა პროფესიონალურ კავშირების შესახებ.

## დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 ოქტომბერი

### ს პ ა რ ს ე თ ი

**თავრიზი.** უკვე გაარჩიეს სეიდ-გუსეინ ხანის საქმე. სეიდ-გუსეინ-ხანმა გაზეთში დაბეჭდა წერილი, სპარსელ ქალებს ნება მივცეთ უჩადროდ იარონო. გუსეინ-ხანს 26 თვით დაპატიმრება გადაუწყვიტეს.

### საზღვარ-გარედ.

**მადრიდი.** ოფიციალურად გამოქვეყნდა მეფის ბრძანება ბარცელონისა და ვერონის პროვინციებში კონსტიტუციონურ გარანტიების აღდგენის შესახებ.

**ბუხარესტი.** რუმინიის დეპეშათა სააგენტო იტყობინება, ტყუილია ის ხმა, ვითომ ავსტრო-ჰუნგრეთს და რუმინიას სამხედრო ხელშეკრულება დაედოთო.

**ვენა.** „კორესპ. ბიუროს“ სტამბოლიდან ატყობინებენ: ოსმალეთის მთავრობამ კრიტეს მფარველ სახელმწიფოებს კრიტეს შესახებ ნოტა დაუგზავნა. ნოტაში ოსმალეთი მთავრობას ეხება კრიტეს ეხლანდელ მდგომარეობას და საბერძნეთში უკანასკნელ დროს მომხდარ ამბებს და სახელმწიფოებს სთხოვს ეხლავ გადასწყვიტეთ რანაირი მმართველობა უნდა იყოს კრიტეში.

**რიო-დე-ჟანეირო.** გარეშე საქმეთა მინისტრმა და ურაგვაის ელჩმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც განსაზღვრულია ბრაზილიის და ურაგვაის საზღვრები. ამ შეთანხმებით გააფართოვეს ურაგვაის საზღვრები და მის კუთვნილებად აღიარეს რამდენიმე კუნძული.

**ბუდაპეშტი.** 26 ოქტომბერს მოხდა ორი პოლიტიკური მანიფესტაცია. პალატის თავჯდომარე იუსტი და 94 დეპუტატი ერთად შეიკრიბნენ. სიტყვა წარმოსთქვა იუსტმა. იუსტმა გაჰკიცხა კოშუტი და სთქვა: ჰუნგრეთს ეკონომიური დამოუკიდებლობა და დამოუკიდებელი ბანკი უნდა. ჩვენთვის საჭირო არ არის ანდრაშის და კოშუტის მიერ შემუშავებული საარჩევნო უფლებანიო. ამავე დღეს ბუდაპეშტში კოშუტის პატივსაცემლად 98 დეპუტატმა გამართა ნადიმი. ნადიმზე სიტყვა წარმოსთქვა კოშუტმა. მან სთქვა: პოლიტიკურ მოღვაწეობის თავის დანებება მირჩევნია, ვიდრე ჰუნგრეთის დამოუკიდებლობის იდეის უარჰყოფა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მოვალენი ვართ ანგარიში გაუწიოთ მთავრობას, ვეცადოთ ჩვენი მიზნის განხორციელებას და არა პირდაპირ მივიტანოთ იერიშიო. კოშუტს და გრაფ აპონიოსს დამსწრეები ოვაციებით მიეგებნენ.

### რ უ ს ე თ ი

**ნიკოლაევი.** სადგურ ნიკოლაევზე ლიანდაგიდან გადავარდა საქონლის მატარებელი. დაიმტვრა 12 ვაგონი, პურით დატვირთული. დაიღუპა ორი კაცი.

**სმოლენსკი.** სამოსამართლო პალატამ განიხილა ხუთი ანარქისტ-კომუნისტის საქმე. ბრალდებოდათ ცარცვა-გლეჯა. სასამართლომ გადაუწყვიტა სამს სხვა და სხვა ვადით კატორღა, ერთს გადასახლება, ერთი გაამართლა.

**პეტერბურგი.** სამარისა და სარატოვის გუბერნიებსა, ჩერკასკის, ნოვოხოპერსკის, უსტმედვედიცკის, დონეცკის, მეორე დონეცკის და როსტოვის ოლქში გაძლიერებულ წესები 1910 წლის 4 სექტემბრამდე კიდევ დარჩება.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** კოვარინში დაიწვა ორი სახლი. მეორე დღეს სახლების ნანგრევში იპოვეს ორი ქალი და ექვსი ბავშვის გვამი. ამას გარდა დაშავდა სამი კაცი.

**მოსკოვი.** დიდის ამბით გაიხსნა საზოგადოება „რუსეთის ერების ერთობა“. საზოგადოების გამგეობის წევრებად ყველა ერის წარმომადგენლები აირჩიეს.

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **სხდომის დაშლა.** 26 ოქტომბერს მოხდა შეერთებული სხდომა ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა და ახლად დაარსებულ სახალხო წარმოდგენათა გამმართველ წრის წარმომადგენლებისა. სხდომის დროს პატარა ინციდენტი მოხდა. პოლიციამ სხდომა არალეგალურ კრებად იცნო და განიზრახა მისი დაშლა. შეეკითხნენ გუბერნატორს. რაკი პოლიცია დარწმუნდა კრების კანონიერებაში, გავიდა დარბაზიდან. ამის შემდეგ ბევრი დამსწრე აღარ დარჩა სხდომაზე და საკითხი შეთანხმების შესახებ გადაუწყვეტელი დარჩა.

✦ **გაზეთის დაჯარიმება.** ბათუმის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, 250 მანეთით დაუჯარიმებიათ ბათუმის გაზეთი „ბატუმ. იზვ.“

✦ **ეჩმიაძინის მონასტრის მამულები.** „ტიფ. ლის.“-ში დაბეჭდილია სია იმ მამულებისა, რომელიც სომეხთა ეჩმიაძინის მონასტერს ეკუთვნის. როგორც ამ სიიდანა სჩანს, ეჩმიაძინს სხვა და სხვა ადგილას ჰქონია 129,050 დესეტინა მიწა.

✦ **ექიმების დანიშვნა.** როგორც ვწერდით, არამიანცის სახელობის ქალაქის საავადმყოფოში ექიმები უნდა დაენიშნათ. ამისთვის შესდგა კონკურსი, მაგრამ ქალაქის გამგეობას რაღაც მიზეზით კონკურსი გაუქმებულად ჩაუთვლია და საავადმყოფოს გამგეობა ჩაუბარებია სანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის სტეფანოვისთვის, ხოლო უფროსს ორდინატორად მიუწვევია ბაქოელი ექიმი არუთინოვი. ამას გარდა უფროს თერაპევტის თანაშემწედ დაუნიშნიათ იგიტიანცი, უფროს ქირურგის თანაშემწედ ბაქოელი ტერ ნერსესოვი, ხოლო უმცროსს ორდინატორებად მაგაკიანი, კილოსანიძე და ექიმი-ქალი იაროში. იგიტიანცის ადგილზე საბჭოს ექიმად ავლაბარში დაუნიშნიათ შ. მიქელაძე.

✦ **გრ. ვოლსკის გარდაცვალების გამო.** იურიევიდან მოგვივიდა შემდეგი დეპეშა: „იურიევის ქართველი თვისტომობა გულწრფელად გლოვობს საზოგადო მოღვაწის და პოეტის გრიგოლ ვოლსკის გარდაცვალებას. თვისტომობის მონდობილებით იმნაძე“.

✦ **დანიშვნა.** სიღნაღის მაზრის უფროსის თანაშ. აღმასრულებელი თავ. ბარათაშვილი დაუნიშნიათ მოურავებელ შუამავლად ბორჩალოს მაზრაში. გადასახადთა ინსპექტორად რაჭაში დაუნიშნიათ მდივნიშვილი, რომელიც აქამდე ბაქოს გუბერნიაში იყო ამავე თანამდებობაზე.

✦ **ოპერაცია ჩერქეზიშვილისთვის.** ტფ. ქალაქის თავის თავ. ჩერქეზიშვილისთვის კიდევ გაუკეთებიათ ოპერაცია. ოპერაციას კარგად ჩაუვლია.

✦ **შემოწირულებანი.** საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ მიიღო შემდეგი შემოწირულებანი: ბ-ნ ივ. ალ. ზედგინიძისაგან: ექვსი სპილენძის ფული (ამათ შორის სამი ქართული) და ორი თიხის მორჩილი დოქი; ბ-ნ ზ. აბდუშელიშვილისაგან: ხელნაწერი „ყარამანიანი“, ხელნაწერი „ბარამიანი“ და მასთან „კორნილიუს ტაციტის წელთწერა“ და ერთი კიდევ სასანიური ვერცხლის ფული. პოლკოვნიკ დ. ივ. ამილახვრის და იმის მეუღლის ან. რ. ასულისაგან: 1709 წელს დაბეჭდილი ხუცური სახარება, ხელნაწერი „როსტომიანი“, ნაწილი „სიბრძნე სიცრუისა“ და „ქიმსარიანისა“, ნაწილი „[illegible]“ [illegible] რეთა შუამავლი რუსულიდან თარგმნილი ([illegible]).

✦ **უპასპორტოები.** ნაძალადევში 26 ოქტომბერს დააპატიმრეს ათამდე უპასპორტო კაცი.

✦ 26 ოქტომბერს ტფ. საფიზიკო ობსერვატორიის გამგეს სტ. გლასეკისთვის ქურდებს მოუპარავთ 260 მან. ეჭვით დააპატიმრეს ობსერვატორიის შებადე ერასტო ძაძამია.

✦ 26 ოქტომბერს პოლიციამ დააპატიმრა საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული მათეოს გასპარიანცი.

✦ კახეთის ქუჩაზე გაჩხრეკის დროს 26 ოქტომბერს სამი კაცი. ერთს აღმოაჩნდა მაუზერის რევოლვერი და 20 მდე პატრონა. იგი გამოდგა ახალ ბაიაზეთის მცხოვრები სუმბატ მირზოიანცი, ხოლო მისი ამხანაგები—კარაპეტ აღამიროვი დამოსეს ჯანველიძე.

## მოწერილი ამბავი

**ზაქათალის ოლქი.** როგორც მოგეხსენებათ, ზაქათალის ოლქი საუკეთესო კუთხეა მთელ ამიერ-კავკასიაში, ყველაფერს, რაც კი საჭიროა კაცის ცხოვრებისათვის, უხვად იძლევა აქაური ბუნება. უხვად მოდის პური, ქერი, ფეტვი, სიმინდი, ბრინჯი, ყურძენი და ყოველნაირი ხილი. ხალხიც ყველა მოსავალს მისდევს, გარდა, სიმინდისა, რომელსაც ხილად სთესავენ ხოლმე. მისდევენ აგრეთვე აბრეშუმის ჭიის მოყვანას. ამისთანა გაშლილი ადგილები, შემკობილი წყლებით, ტყით და ბაღებით, იშვიათად მოიპოვება სადმე. ტყეები სავსეა საუკეთესო კაკლის ხეებით. აქაურ ხალხი ზარმაცი რომ არ იყოს და ცოტა განათლება ჰქონდეს, სამოთხის მსგავსი ცხოვრება ექნებოდა.

მოგეხსენებათ ისიც, რომ აქ სცხოვრობს სამი ტომის ხალხი: ლეკები, თათრები და ინგილოები; პირველნი ორნი სარწმუნოებით მაჰმადიანნი არიან, მესამენი კი ზოგი მართლმადიდებლია და ზოგიც, უმრავლესობა კი მაჰმადიანი. სწავლას აქაური ხალხი საზოგადოდ არ მისდევს. ამ მხრივ წინ არიან ისევ მართლმადიდებელი ინგილოები. ესენი უფრო იჩენენ სწავლის სურვილს და ბავშვებსაც ჰგზავნიან სკოლებში. მაჰმადიანები კი სწავლას ძალიან გულგრილად ეკიდებიან და სახელმწიფო სკოლებს გაურბიან. ზოგიერთ დიდ სოფელში, როგორც, მაგალითად, თალასა და ალიაბათში, (თვითეულ სოფელში სცხოვრობს 1000-მდე კომლი) არის სამინისტრო სკოლები; წინა წლებში ამ სკოლებში დადიოდა თითოში 15-20 მოსწავლე. წელს ამ რიცხვმაც შესამჩნევად მიკლო. მიზეზი ის გახლავთ, რომ მცხოვრებთ საიდანღაც თავიანთ ხარჯით მოიწვიეს მასწავლებლები, ტომით თათრები, და გახსნეს თავიანთ მეჩეთებში სკოლები. ბავშვებს ასწავლიან მარტო თათრულს ენაზე. სამინისტრო სკოლებიდან აქ გადმოდგნენ მოწაფენი. აქაურ მაჰმადიანებს სრულიად არა სურთ სახელმწიფო ენაზე სწავლა, არც საგნების სწავლებისათვის იტეხენ თავს. იმათ სურთ მხოლოდ მაჰმადის სჯულის დოგმებისა და სამართლო წერილის სწავლება.

სოფელ ალიაბათის ახლად მოწვეულმა მასწავლებელმა (სპარსეთის ქვეშევრდომია) ამ დღეებში მიამბო შემდეგი; „მე ამისთანა ბნელი ხალხი არსად არ მინახავს; იმ წიგნში, რომლითაც მე ვასწავლი, არის სურათები სხვა და სხვა ფრინველებისა. როგორც-კი ეს სურათები დაინახეს მშობლებმა, მაშინვე ამოკრძალეს ამ წიგნით სწავლება. მეუბნებიან, სურათები მაჰმადის სჯულის წინააღმდეგია, რათ უნდათ ჩვენს შვილებს ეგ სურათები; იმათ მარტო სჯული ასწავლეო“. საყურადღებო ის არის, რომ ალიაბათის მცხოვრებნი სულ ინგილო ქართველები არიან. თუმცა სჯულით გამაჰმადიანებულნი, მაგრამ ენა და ზნე-ჩვეულებანი ქართული აქვთ და ოჯახებშიაც სულ ქართულად ლაპარაკობენ. აი ამათ თათარი მოუყვანიათ მასწავლებლად და ბავშვები თავიანთ დედა-ენას ივიწყებენ. ზვრას გზით

ვერ დავაჯერეთ ეს ხალხი, რომ ენის და ეროვნების დავიწყება კარგი არ არის და რომ ქართული ენა და ეროვნება მათ არ წაართმევს მაჰმადის სჯულს, რომელიც მათ მეტის მეტად მოსწონთ და უყვართ.

ქრისტიანი ალიაბათში ცოტაა. აქა სცხოვრობს ბოქაული (ხშირად იგი მართლ-მადიდებელია ხოლმე). არიან ცოლშვილიანი რუსები დარაჯები და მეღუქნე თუშები; არიან ვაჭრები სომეხ-გრიგორიანები. ამათ საერთო სურვილისამებრ აქ გაიხსნა სამლოცველო სახლი. სექტემბრის 20-ს აკურთხეს ეს სამლოცველო სახლი. დაესწრო დიდძალი ხალხი. ზაქათალიდან და კახიდან. კურთხევის წინ მღვდელმა წარმოსთქვა სიტყვა. აღნიშნა, რომ ერთ დროს მთელი ზაქათალის ოლქი შეადგენდა საქართველოს სამეფოს ნაწილს და რომ აქ იყო საკუთარი ეპარქიაც, რომელსაც ეწოდებოდა ქურმუხის საეპისკოპოსო.

ამ მშვენიერ კუთხეში ძალიან ბევრია დასასახლებლად თავისუფალი ადგილი. აქამდის საქართველოს მკვიდრთ აზრად არ მოსვლიათ აქ გადასახლება. ეხლა-კი იმერეთიდან და ბორჯომის ხეობიდან ბევრი მოდიან.

მოსავალს წელს არ ვემდურით, გარდა ყურძნისა რომელმაც გვიღალატა და ცოტა მოვიდა. სამაგიეროდ სხვა ყველაფრის მოსავალი კარგი იყო და უფრო ბრინჯისა და თხილის. უაზლეუბისაგან შევისვენეთ. წელს მათი ჭაჭანებაც-კი არ არის. გვინდა მხოლოდ გზები, სწავლა და ექიმები. მთელს ოლქში მარტო ორი ექიმია. **დ.**

—

**სოფ. ავლევი.** (გორის მაზრა) 11 ოქტომბერს მოხდა კურთხევა ავლევის სამრევლო სკოლისა, რომელიც დაარსდა ადგილობრივ მემამულის თავ. კ. მ. ამირეჯიბის მეთაურობით. მან ამ საქმეს შესწირა მშვენიერი ერთსართულიანი ქვითკირის შენობა, რომელიც შეიცავს ერთ დიდ საკლასო და ორ პატარა ოთახს მასწავლებლისათვის. ყველი საჭირო მოწყობილებაც როგორც კლასისა, ისე მასწავლებლის ბინისა თვითონ იკისრა. გარდა ამისა სკოლას გადასცა ოთხის დღის შემოღობილი ნათუხარი მიწა, შენობის გვერდით მდებარე, სადაც მოსწავლეებმა უნდა შეისწავლონ პირველ-დაწყებითი მეურნეობა: მებაღეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა. ბავშვებმა უნდა შეისწავლონ აგრეთვე პირველ-დაწყებითი ხელოსნობა — დურგლობა და მჭედლობა

მსურველი სწავლისა ბევრი იყო, მაგრამ საკლასო ოთახმა ვერ დაიტია 50 ბავშვზე მეტი. ბევრი მშობელი დაბრუნდა სახლში დაღონებული. მომავალ წლისათვის თავ. კ. მ. ამირეჯიბმა აღუთქვა საზოგადოებას, გააფართოვოს სკოლის შენობა.

მიუხედავად ამდენ უსასყიდლო მზრუნველობისა, სასულიერო მთავრობამ ხსენებულს სკოლაში მასწავლებლად ქალი დანიშნა, თუმც მზრუნველი სკოლისა მოითხოვდა მასწავლებელს კაცს, სოფლის მეურნეობის მცოდნეს. და რადგანაც ქალი არ იქმნა მიღებული და სკოლაც გახსნისათანავე იკეტებოდა, მაშინ გადმოყვანილ იქმნა დირბის სკოლის მასწავლებელი ელიაშვილი.

სწორედ დიდი მადლობის ღირსია ასეთ მზრუნველობისათვის თავ. კ. მ. ამირეჯიბი.

**ე—ლი.**

—

**ალექსანდროპოლი.** ჩვენი ინტელიგენციის ნაწილი კავკასიის სხვა და სხვა ქალაქშია გაფანტული და, რადგან მომეტებული ნაწილი სამხედრო და სამოქალაქო-სახელმწიფო სამსახურშია, ქონებრივად არ არის მაგრე რიგად შევიწროვებული. განა ამისთანა ხალხისთვის ძნელია ნამდვილი დახმარება გაუწიოს ჩვენ ღარიბ კულტურულ საზოგადოებებს? 1—10 მან. შეწირვა, მაგალითად, ილიას ფონდს ან წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შეუმჩნეველი იქნება იმათ წლიურ ბიუჯეტისთვის, ხოლო, როგორც იტყვიან, „წვეთიდან ზღვა შესდგება". ამისთანა ხელის-დახმარება წინ წასწევს საქმეს. დარწმუნებული ვარ, რომ ამ შემთხვევაში დაუდევრობაა უპირველესი მიზეზი. ძველი ამბავია, რომ ჩვენ, ქართველები, ძალიან დაუდევარნი ვართ და თუ სხვამ არ ჩაგვაგონა ან არ შეგვარცხვინა, ხელს არ გავანძრევთ.

მაგალითად, რას აკეთებენ ან რა გააკეთეს ალექსანდროპოლელმა ქართველებმა? ეს მესამე წელიწადია, აპირებენ საღამოს გამართვას, რომლის შემოსავალიც განზრახული იყო წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ გადაედოთ, მაგრამ, საუბედუროდ, დაპირებით თავდება ხოლმე ყოველთვის საქმე.

განა არ შეუძლიათ ბოლომდის მიიყვანონ საქმე? როგორც ზევითა ვსთქვი, ჩვენი დაუდევრობაა ამისი მიზეზი. უნდა მოვახსენოთ, რომ აქ, ალექსანდროპოლში, მოხელეების გარდა, ბლომად არის ქართველი აფიცრობა და ვაჭარიც და ამისთანა არა ღარიბ ხალხთან ძნელი არ არის რაიმე სასარგებლო საქმე გაკეთდეს. ოღონდ იყვნენ მეთაურნი და ცოდნით საქმეს ხელი მოჰკიდონ, თორემ უკან არავინ დაიხევს. აქ როგორც ქართველთა შორის, ისე სომხებშიაც დიდი პატივისცემა აქვთ დამსახურებული ბ-ნთ ვერსალაძეს და ინჟინერ ჩხეიძეს. მათ რომ მოიწადინონ და საქმეს თავში ჩაუდგნენ, ეჭვი არ არის, დიდ სარგებლობას მოუტანენ იმ საზოგადოებას, რომლისთვისაც ინებებენ შემოსავლის გადადებას.

**ვანო კოლ—შვილი.**

—

**ქ. კიევი.** წელს კიევს სხვა წლებთან შედარებით ბევრი ქართველი სტუდენტები მოაწყდა. ამ ორი-სამი წლის წინად ქართველ სტუდენტთა რიცხვი აქ 25—30 არ აღემატებოდა, წელს კი 100-მდეა. მარტო კომერციულ ინსტიტუტში 30-მდე ქართველი სტუდენტია, მათ შორის ერთი ქალი. საერთო რიცხვი ყველა სტუდენტებისა კიევში აღის 150-მდე საერთოდ სტუდენტების გამრავლების გამო აქ ოთახები ძალიან დაძვირდა. შუაგულ ქალაქში ერთი პატარა ოთახი 25—30 მანათად ფასობს. საცხოვრებელი ბინა მცხოვრებთა რიცხვთან შედარებით ძალიან ცოტაა. უკანასკნელ სტატისტიკურ ცნობებით კიევში ითვლება 450,000, ხოლო ბინა 40—ათასია. ასე რომ თითო ბინაზე საშუალოდ 11 სული მოდის. ამისშემდეგ ადვილი წარმოსადგენია, თუ რად არის ასე ძვირი სტუდენტებისათვის ოთახები. სხვაფრივაც ცხოვრება აქ სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებზე იაფი არ არის, თუ ძვირი არა. ამიტომ სტუდენტობაში შიმშილი ჩვეულებრივი მოვლენაა. ამას წინად აქ გაჭირვებულ ცხოვრების გამო მდინარე დნეპრში გადავარდა და თავი დაიხრჩო საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტმა-ქალმა მართა ოგულუხმა, რომელსაც თავის ამხანაგ ქალებს წერილით „უკანასკნელი სიტყვა" დაუტოვა, რომელშიაც სწყევლიდა თავის გაჩენის დღეს.

არა უკეთეს დგომარეობაში არიან ზოგიერთი ქართველი სტუდენტები. თუმცა აქ ცხოვრება საგრძნობლად ძვირია, ზოგს ქართველ სტუდენტს 12—15 მანეთის მეტი არ მოსდის, ეს კი სახლის ქირასაც ვერ უძლებს. ამის გამო შიმშილი და მისი შემდეგი კუჭის ავადმყოფობა ქრონიკულ სენად არის გადაქცეული. დახმარება კი არსაიდან არ არის. აქ თუმცა არსებობს სათვისტომოები: უნივერსიტეტში — ქართული, და საკომერციო ინსტიტუტში — კავკასიური, მაგრამ პირველს მოვალე სტუდენტების თამასუქების მეტი არა უძრია რა კასაში, ხოლო მეორე ახალი დარსებულია და ამის გამო არც იმასა აქვს რაშე.

თვე ნახევრის წინად უნივერსიტეტის ქართულმა სათვისტომომ, როგორც „დროებაში" უკვე იყო მოხსენებული, კრება მოახდინა ქართულ საღამოს გამართვის შესახებ მოსალაპარაკებლად. აირჩიეს კომისია და მას მიანდეს საღამოს გართვაზე ზრუნვა. სხვათა შორის, კომისიამ წინადადება მისცა საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტებს მონაწილეობა მიეღოთ საღამოს გამართვაში. მათ თანხმობა განაცხადეს იმ პირობით, თუ საღამოს შემოსავლიდან ნაწილს მისცემდნენ, მაგრამ კომისია არ დასთანხმდა და ინსტიტუტის მოსწავლენიც ჩამოშორდნენ.

„დროებაში" ისიც იყო მოხსენებული, რომ შარშან აქ დაარსდა ქართულ კულტურის მოყვარეთ წრე. წრე მცირე რიცხოვანი იყო და შესდგებოდა განსაკუთრებით საკომერციო ინსტიტუტის ქართველ სტუდენტებისაგან უნივერსიტეტიდან მარტო 3 კაცი იყო. წელს წრეს რამდენიმე ახალი საკ. ინსტიტუტის სტუდენტები მიემატა. სულ წრეში 25 კაცია. დანარჩენმა აქაურმა ქართველმა სტუდენტებმა არ ისურვეს წევრობა. აქ უკვე მოვიდა ოქმები ქართველ სტუდენტთა ამა წლის კონფერენციისა, მაგრამ ამას არავითარი ყურადღება არ მიაქციეს. წრე თავის მცირე რიცხოვანებით მაინც გულს არ იტეხს და შეძლების დაგვარად მეცადინეობს. რამდენიმე წევრი წრისა უკვე შეუდგა რეფერატების წერას. სამწუხაროდ, წრეს არავითარი სახსარი არ მოეპოვება, გარდა საწევრო გადასახადისა, მაგრამ, საუბედუროდ, წევრები ამასაც ვერ იხდიან. წრე ძალიან ღარიბია და ხუთიოდე ქართულ წიგნის გარდა არა გააჩნიარა. ამას წინად წრის გამგეობამ კერძო ბარათები დაუგზავნა რამდენსამე ქართველ მოღვაწეს და სთხოვა დახმარება წიგნებით. გამგეობას ჯერ არავისგან არ მიუღია პასუხი. კარგს იზამენ ზოგი ერთი ჩვენი [illegible], თუ დახმარებას გაუწევენ წრეს. ბევრისთვის ეს სამძიმო არ იქნება, რადგან ბევრს მოეპოვება ჩვენი წრისთვის დიდად სასარგებლო ისტორიულ ლიტერატურული წიგნები.

ფული ან წიგნები შეიძლება გამოიგზავნოს ამ ნაირად: Кіевъ. Коммерческій Институтъ. Поліевкту Іуліановичу Абесадзе.

**კ. კორძახია.**

## ტფილისის ქალაქის საბჭო

ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომას 26 ოქტომბერს ყველას გასაკვირველად 40 ხმოსანზე მეტი დაესწრო. ამისთვის გამგეობა უნდა უმადლოდეს ნაძალადეველებს. რამდენიმე წელიწადია არა თავდება საქმე ნაძალადეველთა მიერ ადგილების შესყიდვის შესახებ. გაზაფხულ აქეთ განსახილველ საქმეთა სიაში შეტანილია ეს საკითხი და აქამდე მისი განხილვა შეუძლებელი გახდა, რადგან საჭირო რიცხვი ხმოსნებისა არ ესწრობოდა. საქმეში ჩაერივნენ მუშები, ჩამოუარეს ხმოსნებს და ბევრის ხვეწნითა და მუდარით, როგორც იყო, სხდომაზე თავი მოუყარეს 40 ხმოსანზე მეტს. თავმჯდომარემ ბ-ნმა ალ. ივ. ხატისოვმა ეს შემთხვევა გამოიყენა და პირველად სხვა საქმეები წამოაყენა, რომელთათვისაც აგრეთვე 40 ხმოსანია საჭირო. თავმჯდომარემ აცნობა ხმოსნებს ქალაქის თავის ვ. ნ. ჩერქეზიშვილის ავადმყოფობის ამბავი. საჭირო გახდა მეორე ოპერაცია. ოპერაცია ავადმყოფმა კარგად გადაიტანა და მოსალოდნელი არ არის, რომ ავადმყოფობა გაძნელდეს. ავადმყოფს მოსარჩენად დასჭირდება კიდევ 2-3 თვე.

ამის შემდეგ შეეხნენ გუბერნატორის ბრძანებას ხმოსნის ნ. ზ. ელიავას დათხოვნის შესახებ. იურიდიულ კომისიას და გამგეობას შეუსწავლია მთელი საქმის ვითარება, გაუცვნია სენატის განმარტება და საქალაქო დებულების ის მუხლები, რომელიც შეეხება სასამართლოს განაჩენით დასჯილ არჩეულ პირთა დათხოვნას, გაუცვნია ცირკულიარული მიწერილებანი უმაღლეს მთავრობისა ხმოსანთა უფლებების შესახებ და იმ აზრზე დამდგარა, რომ გუბერნატორის განკარგულება ხმოსან ელიავას გადაყენების შესახებ მოკლებულია კანონიერ საფუძველს. ქალაქის გამგეობის აზრით, საქალაქო დებულების მე 33 მუხლის ძალით ელიავას დათხოვნა შეუძლებელია, რადგან მას სასამართლოს განაჩენით უფლებები არ ჩამორთმევია. ამ მუხლით მაშინ შეიძლება ხმოსნის დათხოვნაზე, როცა მას პირადად თუ მდგომარეობით მოპოებული უფლებები აქვს ჩამორთმეული. რაც შეეხება სენატის განმარტებას, ქალაქის იურისტების აზრით, გუბერნატორს არ შეუძლიან ამაზე დაემყაროს, რადგან ეს განმარტება 1907 წელს გამოსცა სენატმა, ხოლო სასჯელი ბ-ნმა ელიავამ 1905—6 წელს მოიხადა. გარდა ამისა, გუბერნატორმა იცოდა ელიავას დასჯა, მაგრამ მან არჩევნების შემდეგ მაინც ხმოსნად დაამტკიცა იგი 2 წელიწადზე მეტია სინიდისიერად ასრულებს ხმოსნის თანამდებობას და გუბერნატორი არა კანონიერად იქცევა, როცა ყოველივე ამის შემდეგ თავის უფლებით ითხოვს ხმოსანს საბჭოდანაო. მოხსენებაში სხვა საბუთებიც და მოსაზრებანიც მოჰყავს გამგეობას და იმ აზრს ადგება, რომ უნდა უარყოფილ იქმნას გუბერნატორის განკარგულება ხმოსან ელიავას დათხოვნის შესახებ. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა გამგეობის დადგენილება გუბერნატორის წინადადების უშედეგოდ დატოვების შესახებ.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ კიროჩნი ქუჩაზე ქ-ნ მადერისაგან ადგილის შესყიდვის შესახებ. კიროჩნი ქუჩისა და მიხეილის ქუჩის შესართავთან კიროჩნი ქუჩა შევიწროვებულია. ვერის ხიდიდან კარგა ფართოდ მომავალი კიროჩნი ქუჩა იმდენად ვიწროვდება პროსპექტთან, რომ ორ ეტლს გავლა არ შეუძლიან. ამის გამო გამგეობა ჯერ კიდევ 20 წლის წინად შეუდგა ცდას ქუჩის გასაფართოებლად. გამგეობამ დაადგინა, მისცეს მადერს 6500 მან. სახლის ერთის პირის ჩამოქცევისა და ბაღის ერთ ნაწილის ჩამოჭრისთვის ქუჩის გასაფართოებლად. თვით მადერი თხოულობს 8500 მან. საბჭომ ცოდის ხმის უმეტესობით მიიღო გამგეობის დადგენილება. მადერს ბევრი ხმოსნები გამოექომაგნენ—ფრიდონოვი, მარკოზოვი, ლუნკევიჩი და სხვანი.

საბჭომ მიიღო აგრეთვე წინადადება გამგეობისა—ნავთლუღის მიწები იჯარით მისცეს სამხედრო უწყებას, ქალაქი ჯერ თორმეტი წლით უთმობს ადგილებს სამხედრო უწყებას. საჟენს 25 კაპეიკად, ხოლო თუ შემდეგ კიდევ განახლდა საიჯარო ხელშეკრულება სამხედრო უწყება საჟენზე 50 კაპეიკს მისცემს.

ამის შემდეგ საბჭო შეუდგა ნაძალადეველთათვის საინტერესო საკითხის განხილვას. როგორც ვიცით, საბჭომ ამ რამდენიმე წლის წინად პრინციპიალურად დაადგინა, შეესყიდოს ქალაქის ადგილები ნაძალადევლებს. შემდეგ ეს დადგენილება სანანებ-ლად გაუხდით ზოგიერთებს და შეეცადნენ გასასყიდ ადგილებზე ისეთი ფასები დაედოთ, რომ ადგილების შესყიდვის აზრიც-კი გაეფანტად ნაძალადეველთათვის. სასყიდელ მიწების შეფასება რამდენჯერმე მოხდა. უკანასკნელად ეს საქმე ჩაჰბარდა ქალაქის საბჭოს საადგილმამულო და საფინანსო კომისიებს. რამდენჯერმე დაუთვალიერებიათ ადგილები და დაუდგენიათ 1491 საიჯარო ადგილიდან გაიყიდოს ნაძალადევსა და ლოტკის გორაზე 1127 ნაჭერი მიწა ზომით 111,605,83 ოთხ-კუთხი საჟენი 906,109 მ.ნ. და 86 კაპ. ორი ნაჭერი (№№ 461 და 457) დაუტევებიათ საზოგადო საჭიროებისათვის. 362 ნაჭრის მოიჯარადეებს უნდა გამოეცხადოთ, რომ ეს ადგილები ვერ გაიყიდება მხოლოდ დროებით დარჩეს მათ სარგებლობაში. კომისიებს ამასთან გადაუწყვეტიათ, დაევალოს გამგეობას შეთანხმდეს რომელსამე ბანკთან, რომ დაგირავდეს მთელი გამოსასყიდელი ადგილი და თუ ვინიცობაა, ქალაქმა ღირებულებაზე მეტი ფული მიიღო ეს მეტი მყიდველებს ჩიეცეთ. შემდეგ მყიდველები კერძოდ თუ საერთოდ საქმეს დაიჭერენ ბანკთან და გადაუხდიან ფულს. ერთი მეოთხედი აღებულ ფულისა (250,000 მან.) უნდა მოხმარდეს ნაძალადევისა და ლოტკის გორის მდგომარეობის გაუმჯობესობას.

ამ დადგენილებამ საბჭოში ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. კამათი უფრო გამწვავდა მაშინ, როცა კომისიის რამდენიმე წევრმა ითხოვა, მყიდველებს ღირებულ ფასზე 20% დაუკლოთო. ამ ხმოსანთა აზრით, სამართლიანი იქნება 20%-ს დაკლება, რადგან ადგილები დაფასდა დღევანდელ მაზნდის მიხედვით და დღევანდელი მაზანდა ამ ადგილებისა ნაძალადეველებმა შექმნეს თავიანთ შრომითაო. ხმ. შახბუდაგოვი და სხვები წინააღმდეგნი იყვნენ ამისა უმთავრესად ამათ ის გამოიყენეს საბუთად, რომ კომისიების დადგენილებით 250,000 მან. ნაძალადევზე დაიხარჯება და ამაზე მეტი რაღა უნდა დავაკლოთო.

კამათმა ღამის 1 საათამდე გასტანა. საბჭომ ბოლოს მიიღო კომისიების დადგენილება.

## პატარა ფელეტონი

### დრო მაინც გადიოდა...

ესკიზი

(ვუძღვნი N...ას)

ცივი ზამთრის დღე იდგა. მოღუშული ცა მრისხანედ გადმოსცქეროდა თვალ-უწვდენელ ველ-მინდორს და დუმილით მოცულ დაბურულ ტყეს, რომელიც სპეტაკ თოვლში გახვეული, ახლო მომავალს შესტრფოდა, პირს ღიმილი უქროდა...

დრო გადიოდა, ბუნება თან და თან ილვიძებდა და თავის სიქაქლუცეს არეს ამცნობდა. გაზაფხულის სიომ დაჰბერა, არე ხავერდივით ნორჩ მობიბინე მცენარით გადიპენტა, შეკოკრდა და თაიგულად გადიქცა...

დრო მაინც გადიოდა...

არე, ჯერ ისევ სუსტ ულონო მცენარით დაფენილი, უფრო იშლებოდა, იფურჩქნებოდა, ყვავდებოდა, მაგრამ ხან სდუმდა, ღონდებოდა, კვნესოდა, სტიროდა და ქვითინებდა, ხან კი იცინოდა და მხიარულობდა...

გაზაფხული ძალას იკრებდა და თავის მამშვენებელ არეს სიცოცხლეს ჰფენდა. სუსტ სულოვან მცენარეს ღონით მოსავდა, სულ გრძელოვან არსებად ხდიდა. ბრწყინვალე მზე თავის სხივს გარეშემო ჰფენდა, მკაცრ ცივ ყინვიან ნიავს ტკბილ სასიამოვნო ნანად აქცევდა. გაბადრული მთვარე, ღამის წყვდიადს ჰფანტავდა.

სამარისებური სიჩუმე იგდა. არე რაღაც დუმილს მოეცვა, მცენარე იბუზებოდა, კოკორი ესუსხებოდა, აქეთ იქით თავის შეფარვასა ლამობდა, თან კი თვალს არ აშორებდა კვლავ მოალერსე, ახლა კი მისუსტებულ მზეს. „რა არის მიზეზი"? გაიძახოდა მცენარე და თან სუსტ შტოიანი კოკორი ნელ-ნელა ძირს ეხრებოდა, ნელ-ნელა ჰქრებოდა. ერთი წამიც და მთლად მიიმალა უფსკრულში.

მოწმენდილი ცა უცბად შავი ღრუბლეით აივსო, მრისხანედ დასჭექა, დაგრგვინა და არე-მარე ნიაღვარს მიატოვა...

მოსწყდა შტოს კოკორი და მოვარდნილი ჩანჩქერს მისცა თავი.

დრო კვლავ გადიოდა...

ცა მოიწმინდა. შავ-ბნელი ღამე მოელვარე მთვარით გაშუქდა. ამობრწყინდა მზეც.

დრო ისევ გადიოდა.....

**გ. მოუხვენარიძე.**

## სასამართლო

**იაკობ ღულაძე და ჭეშმარიტი რუსები.**

27 ოქტომბერს ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა საჩივარი ავლაბრის პროგიმნაზიის ინსპექტორის იაკობ ღულაძისა, რომელიც უჩიოდა გაზეთ „რუსკის კავკაზას" ყოფილ რედაქტორს დიმიტრი თ. პისემსკის—გაზეთით (№ 17) ცილი დამწამაო. აი რასა სწერდა „რუსკი ს კავკაზა" და რისთვის უჩიოდა მის რედაქტორს ბ-ნი ღულაძე:

„ავლაბრელთა გასანათლებლად 1905 წელს ქალაქის ხარჯზე დაარსეს ვაჟთა პროგიმნაზია და ინსპექტორად დანიშნეს ვინმე ღ—ძე, რემელიც რევოლიუციონურ პარტიას ეკუთვნოდა. ეს ორსახიანი ვაჟბატონი, რომელიც თავის მთავრობას უჩვენებდა, რომ მეფისა და ტახტის დამცველია, ნამდვილად უკიდურესი რევოლიუციონერი გამოდგა. მასწავლებლების მოწვევის საქმე სულ იმის ხელთ იყო და მართლაც შესანიშნავი მასწავლებლები მიიწვია. რომელი მასწავლებელიც უნდა აიღო, ან სოციალდემოკრატი, ან დაშნაკციუთუნი, ან რევოლიუციონერია. თავის მასწავლებელთაგან ღ—ძემ შეადგინა მებრძოლი რაზმი არსებულ სახელმწიფოებრივ წესწყობილების დასამხობად და პოლიციელთა მოსასპობად. ამ უკანასკნელ მიზანს რაზმმა სავსებით მიაღწია: ამ ვაჟბატონებმა საბრალო მოხელეთა სისხლით მორწყეს არა მარტო ავლაბარი, არამედ ტფილისის სხვა ადგილებიც. ღ—ძის მასწავლებელთაგან უფრო თავი ისახელეს: შაუმოვმა—სოციალ-დემოკრატმა, მანასიანცმა—დაშნაკციუთუნმა, შტვანმა—რევოლიუციონერმა და ზაბოვმა—დემოკრატ-დაშნაკცაკანმა. ამათ, სხვათა შორის, გაძარცვეს თავიანთი [illegible] მელსაც ხაზინიდან მასწავლებელთა ჯამაგირების ფული [illegible] მოკვდა. ბევრი რუსის ოჯახი შიმშილით დაძრწის ამაო მეოხებით. გაძარცულ ფულით ღ—ძემ და მანასიანცმა იჯარით აიღეს ცოვიანოვების აბანო ჩუღურეთში. მაგრამ ღ—ძეს გარდა, დანარჩენები დიდხანს ვერა სტკბებოდნენ სისხლის ღვრითა და ძარცვა-გლეჯით. ყველანი დაიჭირეს: შაუმოვი და მანასიანცი ეხლა ტფილისის მეტეხის ციხეში სხედან, შტვანი და ზაბოვი განდევნეს კავკასიიდან. მაგრამ მთავარი დამნაშავე ღ—ძე ჯერ ხელ-უხლებლადაა. ღ—ძე სასტიკი მტერია მართლმადიდებლობისა: პროგიმნაზიის კლასებში წ. ხატები არ არის ჩამოკიდებული. ყოვლად სამღვდელო გრიგორიმ, ექსარხოსის მოადგილემ, შარშან დაათვალიერა პროგიმნაზია და ხატები ვერა ნახა. მაგრამ უფრო აღმაშფოთებელია შემდეგი საქციელი ღ—ძისა: უწმ. სინოდი უკრძალავს ერის კაცთა ასწავლონ სამღვთო სჯული, ღ—ძემ კი მოსამზადებელ კლასში სამღვთო-სჯულის მასწავლებლად დანიშნა მხითარიანცი, ჩამომავლობით და სარწმუნოებით სომეხი. ნუ თუ ეს მკრეხლობა არ არის? აი, რა ხალხი სდგას სასწავლებლების სათავეში! ამის შემდეგ ღ—ძე კიდევ ელის, რომ დირექტორის თანამდებობაზე იქნება დამტკიცებული. ნუ თუ არ გამოაძევებენ პროგიმნაზიიდან ცხვრის ტყავში გახვეულ მგელს, რომელიც ასე მუყაითად რყვნის მოსწავლეთ"?

ბრალდებული პისემსკი ეხლა ნოტარიუსის კანტორაშია გადამწერად. იგი 18 წლისაა და განათლება არსად არ მიუღია. მან თავი დამნაშავედ არ იცნო და ითხოვა საქმის გადადება. მოწმეებს დაუნიშნე კი და წერილის სინამდვილის დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ საბუთება „ოხრანნი" განყოფილებიდან და ჟანდარმთა სამმართველოდანაო. სასამართლომ არ შეიწყნარა ეს თხოვნა, რადგან მან რამდენიმე კვირის წინად მიიღო პირი საჩივრისა და ვადა გასული იყო.

ამ საქმეზე დაბარებული იყო ხუთი მოწმე. ი. ღულაძეს იცავდა ნაფიცი ვექილი სტილინსკი.

თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ რა შთაბეჭდილება გამოიტანა ამ წერილის წაკითხვაზეო, მოწმემ მელიქ-ბეგლიაროვმა (პროგიმნაზიის საპატიო მზრუნველია), განაცხადა: ძალიან გამიკვირდა, როდესაც ყველა ეს ღულაძეზე წავიკითხე, რადგან ღულაძეს კარგად ვიცნობ. შემიძლიან თამამად ვსთქვა, რომ წერილში მოთავსებული ამბები მტკნარი სიცრუვეაო.

მოწ. არ. შამშინოვმა (მასწავლებელია) სთქვა: მე დიდიხნის მასწავლებელი ვარ და გაკვეთილებიც სხვა და სხვა სასწავლებელში მაქვს. 1905 წელს ყველა სასწავლებელში არეულობა იყო და დიდი შრომა და ძალა გვჭირდებოდა მოწაფეებთან სამეცადინეოდ. აი ამ დროს მე მხოლოდ ავლაბრის პროგიმნაზიაში ვისვენებდიო. მან ასწერა, რა კარგად იქცეოდნენ მოწაფენი და ამისი მიზეზი ღულაძე იყოო.

დანარჩენმა სამმა მოწმემაც იგივე გაიმეორა—არავითარი გაფიცვა და უწესოება არ მომხდარა, პირიქით სასწავლებელი სამაგალითოდ ითვლებოდა და ითვლებაო.

ილაპარაკა ვექილმა სტალინსკიმ. მან აღნიშნა, რა ძლიერ პროპაგანდას ეწეოდნენ ღულაძის წინააღმდეგ და რა ცუდად იმოქმედა მოწაფეების მშობლებზე გაზეთის წერილმა. ეს წერილი ცილის წამებაა, პირად ნიადაგზე აგებული. ცილსა სწამებენ ღულაძეს, რომ ჩირქი მოსცხონ პატიოსან მუშაკს და მით საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონო. ვექილმა მოითხოვა ბრალდებულის დასჯა.

ბრალდებულმა კიდევ ითხოვა მოწმების მოწვევა და როდესაც უარი მიიღო, განაცხადა: ყველაფერი ჩვენი რედაქციის გამგის ბოგდანოვის მოთავსებულიაო.

სტალანსკიმ სთქვა: ჩვენ კარგად ვხედავთ, რასაც წარმოადგენს პისემსკი. ბოგდანოვები სარგებლობენ უვიც ხალხით და მათ ზურგს ამოფარებულნი ცილის წამებასაც არ ერიდებიანო.

ილაპარაკა თითონ ი. ღულაძემაც.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო დ. პისემსკი და მიუსაჯა ერთი თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

**არალეგალური ლიტერატურა.**

ამავე დღეს პალატამ ხალხის დაუსწრებლად განიხილა საქმე მრევლიშვილისა და როსტომოვისა, ამათ ბრალდებოდათ არა ლეგალურ ლიტერატურის გავრცელება.

პალატამ ორივე ბრალდებულს გამართლება გადაუწყვიტა.

## ორიოდე სიტყვა სახელმძღვანელოებზე

მრავალი დაბრკოლება ელობება ქართული ენის სწავლებას ჩვენ სკოლებში. ნორმალურ პირობებში ყველაფერი გაადვილდებოდა, მაგრამ დღეს ამ ენის სწავლებაც-კი გაჭირვებულია ჩვენს სკოლებში. სხვ რომ თავი გავანებოთ, არავეყვან

მომზადებული ან-ბანის მასწავლებლებიც-კი. არ იციან ქართული ენა, ქართული სიტყვები, არ იცნობენ ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიას, ისტორიას და სხვას. ნება უნებურად ამ მასწავლებელთათვის ყველაფერი უნდა განიმარტოს და აიხსნას.

სამწუხაროდ ქართულ ენაზე საჭირო სახელმძღვანელოებიც არ არის. ეს ალბად იმით აიხსნება, რომ არ არის თვით სახელმძღვანელოების მოთხოვნილება და ამის გამო მათ გამოცემაზე თავს არავინ იცხელებს. მხოლოდ პირველ დაწყებით სკოლებისთვის მოგვეპოვება ბ-ნ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები, რომლებზედაც რამდენიმე თაობა იზრდება. მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ამ სახელმძღვანელოებზე.

„დედა-ენა“-სა და „ბუნების-კარ“-ში არის ზოგიერთი ისეთი სიტყვები, რომელთა თავიდან აშორებაც დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი სოფლის ზოგიერთ გამოუცდელ მასწავლებელს. ჩვენ მოგახსენებთ იმ „გაუგებარ“ სიტყვებზე, რომელიც არის ამ სახელმძღვანელოებში. წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ დასავლეთ საქართველოს პირველ დაწყებით სკოლაში მასწავლებლად დასავლეთ საქართველოსვე მკვიდრია, რომლისთვისაც „დედა-ენაში“ ხმარებული სიტყვები არავის აუხსნია და ადგილობრივაც არა ჰქონია შემთხვევა შეესწავლა. მისთვის ეს სიტყვები გაუგებარი რჩება. ასეთია, მაგალითად, შემდეგი სიტყვები: თითა (ზოგს თითი ჰგონია), ატენური, ფშატი, დამასხი, მარგილი, გეჯა, კუტალი, ჯიხვი (როგორც ჰურჭელი), საური, ბალბა, კირკაჟი, ასკილი, ხოდაბუნი-ყორუღი, ჯალაბი (გურიაში საგინე, ბელი სიტყვაა), წელთა, ხრამული, ფიჩხული, ფლატო და სხვა. ეს სიტყვები გაუგებარია დასავლეთ საქართველოს სკოლის ბავშვებისთვის და ზოგიერთ მასწავლებლებისთვისაც. შეიძლება იგივე ითქვას აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრ მასწავლებელზე და მოსწავლეზე, როცა სახელმძღვანელოში სხვა სიტყვები იხმარება.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მასწავლებელს, როცა ამ გვარ სიტყვის ასახსნელად მოწაფე მიმართავს ხოლმე, გვერდ უვლის და ყურადღებას არ აქცევს. მაგრამ გამოდგება ცნობის-მოყვარე მოსწავლე და დაჟინებით ეკითხება: „ბ-ნო მასწავლებელო, ესა და ეს სიტყვა რასა ჰქვიან?“ მასწავლებელი უხერხულ მდგომარეობში ვარდება. აქ მან ან უნდა იტყუოს და ეს სათოკე სიტყვა მოსწავლეს ყალბად აუხსნას, რომ უხერხულ მდგომარეობიდან თავი იხსნას. ზოგს, მაგალითად, სიტყვა „ბალბა“ კორექტურულ შეცდომად გამოჰყავს და „ლ“-ს მაგიერ „მ-სა“ სვამს და გამოდის „ბალბა“ მოსწავლესაც ასე უხსნის: აქ „ბამბა“ კი არა, „ბამბა“ უნდა ეწეროსო“ და მოსწავლეც ემორჩილება მასწავლებლის გადაწყვეტილებას, ან და ამის თანა შემთხვევაში მასწავლებელმა გულმოკლულად უნდა აღიაროს მოწაფეების წინაშე: „ეს სიტყვა მე არ ვიციო“, რისთვისაც, რასაკვირველია, ჯილდოს ვერავისგან მიიღებს, ბავშვების ირონიულ დაცინვას კი. მაგრამ პატიოსანი და გულწრფელი მასწავლებელი ამას არ შეუშინდება: ტყუილის თქმას, „არ ვიცის“ თქმას ამჯობინებს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ არიან მასწავლებლები, რომელთაც თავიანთი თავი უცოდველ პაპად მიაჩნიათ და როგორც კი წაიკითხავენ რასმეს, არც კი ცდილობენ იმის გაგებას. სვანეთში ერთმა დიდი ხნის მასწავლებლად ნამყოფმა „დედა-ენის მოთხრობას „სწავლაზე ზარმაცი, ლეკურზე მამაცი“-ს ის ადგილი, სადაც ნათქვამია—„მოდი ერთი ლეკური დაუარეო“, ასე გადასცა მოწაფეებს: თითონ გამოიჭიმა, თითქოს ხელები ხმალზე დაიდოო და მარჯვენა ხელი ზევით ასწია. შემდეგ „ლეკური“ სვანურ სიტყვად „დაშნად“ გადაუთარგმნა და ასე ამნაირად ლეკური დაშნა გამოვიდა. აქ კი „ლეკური“ იარაღს სულაც არა ნიშნავს. მოწაფენი ძალზე გაკვირვებულნი დარჩნენ: ჩხუბის დროს ტაშის დაკვრაღა საჭიროაო. ან კიდევ: „დედა ენის“ პირველ ნაწილში „ლექსი ქათამზე“, ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „თუ საბძელსაც მიუმატებთ, ჩემთვის ესეც კმარაო“, მეორე ასეთმა პედაგოგმა სიტყვა „საბძელი“, რომელიც აქ ქათმის ასოს ნიშნავს, პირდაპირ მნიშვნელობით ახსნა—ბზით სავსე დარბაზად. ბევრს ჰქონია „ჯეჯილი“ შემოსული ყანა, გამხმარი ყანა და სხვა...

რასაკვირველია, ყველა, ასეთის ნაკლის აცილება მასწავლებელს შეუძლიან მხნე და მუყაით შრომით, დაკვირვებით და შესწავლით. დარწმუნებულიცა ვარ, რომ ბევრი მასწავლებელი ასეც იქცევა.

კარგი იქნება ყველა ამის თავიდან ასაცილებლად ბ. ნმა ი. გოგებაშვილმა, გამოჰკრიბოს ამგვარი სიტყვები, პროვინციალური იქნება თუ ლიტერატურული, და ცალკე, პატარა ლექსიკონად მიაკრას თავის გამოცემებს. მით უმეტეს საჭიროა ეს რომ ზოგან მართლაც ძნელია გაგება, თუ რას ნიშნავს სიტყვა. მაგალითად, მხვნელ-მთესველ კაცს, „ხოდაბუნი“ ჰქონდა დათესილი, თუ არ იცი, ძნელი მისახვედრია, ხოდაბუნი ადგილასა ჰქვიან, თესლს, თუ ორივეს ერთად—დათესილს ყანას.

**მასწავლებელი მიხეილ კვაჭაძე.**

## რუსეთი

**ჯავშნიანი ვაგონები.** ამ რამდენიმე ხნის წინად მთავრობამ გადასწყვიტა ფოსტა, რკინის გზებზე ჯავშნიან ვაგონებით გადაეტან-გადმოეტანათ. მთავრობას უკვე გაუკეთებინებია ასეთი ვაგონები და გამოუცდიათ კიდეც. მალე ყველა რკინის გზებზე ასეთ ვაგონებით გადაიტანენ ფულს და ფოსტას.

**სახელმწიფო სათათბიროში.** პირველ ნოემბერს მოხდება სახელმწიფო სათათბიროს პრეზიდიუმის არჩევნები. როგორც ვიცით, მემარჯვენეებს გადაწყვეტილი აქვთ გააშავონ ხომიაკოვი. ოქტომბრისტები უკვე დაფაცურებულან და გადაუწყვეტიათ გამართონ კრება, რომელზედაც მიიწვევენ ოპოზიციის და მემარჯვენეების ლიდერებს. ოქტომბრისტებს უნდათ შეთანხმდნენ მემარჯვენეებთან, ან ოპოზიციასთან. პოლონელთა კოლოს უკვე გადაუწყვეტია ხომიაკოვს დაუჭიროს მხარი, ხოლო სოციალ-დემოკრატები სულ არ მიიღებენ მონაწილეობას პრეზიდიუმის არჩევნებში. ჯერ გამორკვეული არ არის ვის დაუჭერენ მხარს კადეტები.

**ქალთა გიმნაზიის უფროსი.** ქალაქ უმანიდან „რანნე უტრო“-ს ატყობინებენ: ქალთა ადგილობრივ გიმნაზიის უფროსმა ქ-ნმა ლევიცკაიამ განიზრახა „რეფორმების“ მოხდენა მისდამი რწმუნებულ გიმნაზიაში. უპირველეს ყოვლისა ქ-ნმა ლევიცკაიამ ყურადღება მიაქცია მოწაფეების თმებს და ერთ მშვენიერ დღეს მოწაფეები აიძულა თმები სულ გაეკრიჭათ. შემდეგ ჯერი მიდგა შლიაპებზე. გაკვეთილების დროს ლევიცკაიამ დაუარა მოწაფეების შლიაპებს და რომელი შლიაპაც არ მოეწონა მაკრატლით დასჭრა. უნდა გენახათ მოწაფეების ქვითინი, როდესაც თავიანთ შლიაპების ბედი გაიგეს. ზოგიერთ მოწაფეების დედამამა ქ-ნ ლევიცკაიას სამართალში აძლევს, ზარალი მოგვაყენა და აგვინაზღაუროსო.

**დანიშვნა.** ამ ბოლო დროს სატახტო ქალაქის გაზეთები დაჟინებით ლაპარაკობენ, სამსახურიდან გადადგებიან იუსტიციის მინისტრი შჩეგლოვიტოვი და ვილნოს გენერალ-გუბერნატორიო. „რეჩის“ სიტყვით იუსტიციის მინისტრად დანიშნავენ სენატორ გარინს, ვილნოს გენერალ-გუბერნატორად სენატორ გრაფ პალენს. ამ სენატორებმა ამ ბოლო დროს ისახელეს თავი, სენატორმა გარინმა მოსკოვის საინტენდანტოს, ხოლო გრაფმა პალენმა ტურქესტანის მხარის რევიზიით.

**რუსეთ-იაპონიის ომიდან.** როდესაც რუსეთ-იაპონიის ომი გათავდა, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია გენერალ კუროპატკინის მოხსენებამ. მუკდენთან თუ ასე სამარცხვინოდ დავმარცხდით, ამის მიზეზი გენერალ კაულბარსი იყოო. გენერალ კუროპატკინის სიტყვით, კაულბარს არ აუსრულებია მისი ბრძანება და იმის მაგივრად, რომ 19 თებერვალსავე, კუროპატკინის ბრძანების თანახმად, იერიში მიეტანა იაპონელებზე, მთელი დღე გულხელ დაკრეფილი გაუტარებია, და ამას ის მოჰყოლია, რომ გენერალ ნოგის რუსის ჯარისთვის უკანიდან მოუვლია, თავზარი დაუცია რუსთა მხედრობისთვის. გენერალ კაულბარსის განკარგულებაში ასი ათა ამდი ჯარის კაცა იყო და ისე გაანაწილა ჯარი, ისე დაფანტა ძალები, რომ როდესაც საჭირო გახდა საკმაო ძალის ერთად შეკრება, ვეღარ მოახერხაო, სწერდა კუროპატკინი. „რეჩის“ სიტყვით, ამ საქმით შესახებ დანიშნული კომისია ამ დღეებში დაამთავრებს მუშაობას. კომისიის აზრით, მუკდენში რუსის ჯარის დამარცხება კუროპატკინის ბრალი არ იყო.

**დუბროვინის დაბრუნება.** პირველ ნოემბერს პეტერბურგში დუბროვინს ელიან თურმე. „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მთავარ საბჭოს გადაუწყვეტია დიდის ამბით დაუხვდეს „კავშირის“ მეთაურს. სჩანს, დუბროვინს აღარ ეშინიან ფინლიანდიის სასამართლოსი!

**სამართალში მიცემა.** ოდესის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს გადაუწყვეტია, სამართალში მისცეს დეპუტატი ა. ი. ნიკოლსკი. ნიკოლსკიმ ამ რამდენიმე ხნის წინად გაზეთებში გამოაქვეყნა, ოდესის უნივერსიტეტში ებრაელებს ფულს ართმევენ და ისე იღებენო.

**არალეგალური ლიტერატურა სათათბიროში.** სახელმწიფო სათათბიროს წიგნთ-საცავში აუარებელი არალეგალური ლიტერატურა მოგროვებულა. წიგნთ-საცავის შესახებ კომისიას მსჯელობა ჰქონია, რა უყოს ამ არალეგალურ ლიტერატურას. კომისიის თავმჯდომარე გრაფ ბობრინსკის სულ მარტივი საშუალება გამოუძებნია, ავიღოთ და დავსწვათო. კომისიის სხვა წევრების აზრით არალეგალური ლიტერატურა წიგნთ-საცავში უნდა დარჩეს და ყველა დეპუტატებს წასაკითხად მიეცეს. კომისიის წევრების ეს აზრი არ მოსწონებია კიევის დეპუტატს პროფესორ კაპუსტინს და განუცხადებია ესე, რომ მოვიქცეთ არალეგალური ლიტერატურა სათათბიროს კანცელარიის მოსამსახურეებსაც ჩაუვარდებათ ხელშიო. კომისიას გადაუწყვეტია შემოიღოს განსაკუთრებული წესები არალეგალური ლიტერატურით სარგებლობის შესახებ, მანამდის კი წასაკითხავად არავის მისცეს.

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ვარშავში 6, პეტერბურგში 1, რეველში 1, რიგაში 2, მოსკოვში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: პეტერბურგში 2, ოდესაში 1, სარატოვში 3, რიგაში 1 კაცი.

## უცხოეთი

**თავისუფალ მოაზროვნეთა კონგრესი და ფერერი.**

ამას წინად პარიზში გაიმართა თავისუფალ მოაზროვნეთა კონგრესი, რომლის უკანასკნელ სხდომაზე ფერერის პატივსაცემლად და დასახსოვრად რამდენიმე ცნობილმა ორატორმა და საზოგადო მოღვაწემ სიტყვები წარმოსთქვა. ბელგიის დეპუტატმა აუწყა კონგრესს, ქალაქმა ბრიუსელმა გადასწყვიტა ძეგლი აუგოს ფერერსაო. გენერალმა პეიკიმ აღნიშნა, კლერიკალებმა ორ დიდ პროცესზე იქონიეს გავლენა: დრეიფუსისა და ფერერის პროცესის დროს კლერიკალებმა აშკარა ჰყვეს თავიანთი გავლენა სამხედრო სასამართლოზე. სამხედრო სასამართლოებზე კლერიკალებს ყოველთვის დიდი გავლენა ჰქონიათ და ამიტომ დრო არის ხმა აღვიმაღლოთ ასეთ სასამართლოს გასაუქმებლად. პროფესორმა ტალამამაც ძლიერი სიტყვა წარმოსთქვა. ეს ის პროფესორია, რომელმაც თავი ისახელა რეაქციონერებთან ბრძოლის დროს, როდესაც ნებას არ აძლევდნენ კანადერზე ლექცია წაეკითხა. ამ პროფესორმა სთქვა, ფერერის დასჯით კლერიკალებმა თავიანთ არსებობას საძირკველი შეურყიეს. ფერერის დასჯა მოქმედებით პროპაგანდაა თავისუფალ აზროვნობის იდეის სასარგებლოდ. კონგრესზე ფული შეაგროვეს ფერერის ძეგლისათვის. ძეგლი უნდა აუგონ ვატიკანის პირდაპირ.

**ბრძოლა თავისუფალ სკოლისათვის საფრანგეთში.**

საფრანგეთში დიდი ბრძოლაა თავისუფალ სკოლის დამკვიდრებისათვის. აქამდე სკოლა კლერიკალებისა და კონსერვატორობის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. რესპუბლიკანელი მთავრობა ცდილობს სკოლა დააშოროს კლერიკალებსა და კონსერვატიული სული გამოდევნოს იქიდან. მაგრამ აქაც მთავრობას ისეთივე დაბრკოლება ეღობება წინ, როგორც ეკლესიის სახელმწიფოსაგან გაშორების დროს. ბრძოლაში მარტო საფრანგეთის კლერიკალები არ არიან ჩარეულნი. რომის კლერიკალები მხურვალე მონაწილეობას იღებენ. ვატიკანი თითქმის მთავარი შტაბია კლერიკალთა ბრძოლისა, რესპუბლიკანელ სკოლის წინააღმდეგ მიმართული. საფრანგეთის ეპისკოპოსებმა მოწოდება გამოსცეს საერო სკოლის წინააღმდეგ. ეს მოწოდება თურმე კლერიკალთა შტაბში ვატიკანში ყოფილა შედგენილი.

დაიწყეს თუ არა სწავლა საერო სკოლებში, თავგამოდებულმა კლერიკალებმა რამდენიმე ადგილას დიდი წინააღმდეგობა აღმოუჩინეს მასწავლებლებს. ზოგან მღვდლებს ისე წაუქეზებიათ ხალხი, რომ მასწავლებლები ვერა ჰბედავენ ქუჩაში გამოსვლას. მაგრამ მიუხედავათ ამისა, მთავრობა მეტად მტკიცედ იცავს თავის გადაწყვეტილებას. მთავრობამ გადაჭრით განაცხადა, რომ მშობელთა ასოციაციას ნებას არ მისცემს სახელმძღვანელოდ მოწონებულ წიგნებს ცენზურა გაუკეთოს. თავის მხრივ ეპისკოპოსები-კლერიკალებიც ხმა მაღლა ჰგოდებენ საერო სკოლის წინააღმდეგ. ესენი მოითხოვენ, სხვათა შორის, სახელმძღვანელოების გადასინჯვას.

მინისტრი ბრიანი თავგამოდებით იცავს რესპუბლიკის სკოლას, როდესაც ერთი სკოლის შენობა დაამთავრეს და უნდა გაეხსნათ, ბრიანი და თვით პრეზიდენტი ფალიერი დაესწრნენ სკოლის გახსნას. ბრიანმა სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ მთავრობა ეცდება სრულებით განდევნოს სკოლიდან კლერიკალური და კონსერვატიული სული.

კლერიკალების გაზეთები ძალიან აავდნენ ბრიანის სიტყვამ. ესენი იმუქრებიან, კათოლიკები სკოლის გაფიცვას მოაწყობენო.

**საბერძნეთის ამბები.**

დეპუტატი ალექსანდრისი და გაზეთ „აკროპოლისის“ გამომცემი კაბრიადისი საბერძნეთიდან გააძევეს. ამბობენ, ესენი მონაწილეობას იღებდნენ შეთქმულებაში, რომლის მიზანი იყო ოფიცერთა კავშირის დესპოტიზმის განადგურება. შეთქმულების მომხრეებმა განუცხადეს მეფეს, ისინი მეფის ერთგულნი არიან და კონსტიტუციონალური გზით ეცდებიან ქვეყნისათვის საჭირო რეფორმების შემოღებას.

**სერბიის პროტესტი.**

ამას წინად ვწერდით, სერბიისა და ოსმალეთის საზღვარზე ოსმალეთის მოსამზღვრე ჯარის კაცებმა მოკლეს სერბიელი ჯარისკაცები. სერბიის ელჩმა ნენადოვიჩმა ოსმალეთის მთავრობას ნოტა წარუდგინა. სერბია პროტესტს აცხადებს ოსმალეთის მოსამზღვრე ჯარის-კაცთა მოქმედებაზე. სერბიის ჯარისკაცები ბოროტმოქმედებს მისდევდნენ და დახოცესო.

**პოლკოვნიკ ზორბასის წერილი.**

საბერძნეთის ოფიცერთა კავშირის მესვეურმა პოლკოვნიკმა ზორბასმა წერილი მისწერა ოდესელ ბერძნულ გაზეთის „ფოს“-ის რედაქტორს და სთხოვა მოათავსოს გაზეთში ცნობები საბერძნეთში დაწყებულ განახლების მოძრაობის შესახებ რუსეთში მცხოვრებ ბერძნებს აუწყოს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ მოძრაობას საბერძნეთის ეროვნულ აღორძინებისთვის.

**რუმინელ სოციალ-დემოკრატების დევნა.**

1907 წელს რუმინიიდან მთავრობამ გააძევა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დამაარსებელი დოქტორი რაკოვსკი. ამ დღეებში რაკოვსკი სამშობლოში დაბრუნებას აპირობდა, დამე შეპყრობილიყო რუმინიაში, მაგრამ კვალავ და ისევ გააძევეს. ამასთან უთხრეს, თუ კიდევ დაბრუნდი, დაგვხვრეტავთო, ამის გამო რუმინიის დემოკრატია ძალზე აღშფოთებულია. ბევრ ადგილას გამართეს მიტინგები. იასში რეაქციონერებმა სცემეს კარგად ცნობილ პროფესორ ბუჟერს, რომელმაც უნივერსიტეტში გამართულ მიტინგზე ილაპარაკა და ეხლანდელი ნაციონალ-ლიბერალური კაბინეტი გაკიცხა.

**ინგლის-ბოლგარიის ბანკი.**

მომავალი წლის დამდეგს სოფიაში გაიხსნება ახალი ინგლის-ბოლგარიის ბანკი, რომელსაც ძირითადი თანხა ხუთი მილიონი ფრანკი ექნება. ეს ბანკი დაარსებულია ინგლისის კაპიტალისტებისა და ბოლგარიის ნაციონალურ ბანკის თაოსნობით. ბანკი ბოლგარიის ეკონომიურ მაზნებს გაუწევს სამსახურს.

**კანტონის პროვინციის ავტონომია.**

ჩინეთის სახელმწიფოს პრინც-რეგენტმა ნება დართო კანტონის პროვინციის ვიცე-კოროლს დამოუკიდებლად აწარმოოს დიპლომატიური მოლაპარაკება იმ საქმეებზე, რომლებიც კანტონის პროვინციას შეეხება, დანიშნოს მოხელენი სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობაზე თავის მოსაზრებით. კანტონის პროვინციაში დაბანაკებული ჯარიც ვიცე-კოროლის განკარგულებაში იქნება. ამ ნაირად კანტონის პროვინციას თავისუფლება ეძლევა, შინაური საქმეები თითონ კანტონის მთავრობამ აწარმოოს და არა ჩინეთის ცენტრალურმა მთავრობამ.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ, დაბეჭდოთ შემდეგი ანგარიში 1 ოქტომბერს მცხეთის დედათა მონასტრის სკოლის სასარგებლოდ გამართულ სეირნობისა.

შემოსავალი: შემოსასვლელი ბილეთები—60 მ. 62 კ. კონფეტები, ბუდის კვერი, სიურპრიზიანი წერილები, ბუფეტი და სხვა—127 მ 13 კ. სულ 187 მ. 75 კ.

შემოწირულება: ანანიაშვილი—3 მ., მუსხელაშვილი—2 მ., კნ. ი. კ. თუმანიშვილისა—2მ., კნ. ს. ლ. ერისთავისა—2 მ., არდაზიანი 75 კ. სულ 9 მ. 75 კ.

ხარჯი: მუსიკა—41 მ. 80 კ., ზურნა—5 მ., ბუფეტი—21 მ. 3 კ. აფიშები და ბაკვრა—10 მ. 50 კ., პლაკატი—6 მ., განცხადება „ტიფ. ლისტ.“-ში—3 მ.; 10 ფანარი—3 მ., კიოსკები—3 მ., მუშებს—8 მ., ნივთების გადაზიდვა—8 მ., წვრილმანი ხარჯი—8 მ., კურთხევა—1 მ. 35 კ., ჭურჭელი 2 მ. 45 კ., ნივთები ბედის კვერისთვის—6 მ. 65 კ., ყვავილთა ხვეული—4 მ. სულ 123 მ. 88 კ.

ულრმეს მადლობას ვუძღვნი სეირნობის გამგეს ქ-ნ სემირამიდა ნიკოლოზის ასულს ბუდაგოვისას, ბ-ნ იოსებ კონსტანტინეს ძეს გედევანიშვილს - ბაღის დათმობისთვის; ორბელს, „საეროს“, „კახეთრას“, მაყაშვილს, პოლლაკს, ნასიძეს, ცინდელს, საავთექრო საქონლით სავაჭრო კავკასიის ამხანაგობას, ფარმაცევტთა ამხანაგობას, რალლეს, ფორაქაშვილს, ზედგინიძეს, მალალდაძეს, ჯაგეტიანცს, ჩილინგაროვს, გველესიანს, ჯავახოვს, გოზალოვს, ბაჯაძოვს, მრევლიშვილს, ისარლიშვილს, მ. თეთრაძეს, ო. აგლაძეს, თეთრაძეს, ნ. არნაზაროვს, ნ. გძელიშვილს და ნ. მაყაშვილს—ნავთებისა და საქონლის შემოწირვისათვის; „დროებას“—განცხადების უფასოდ დაბეჭდვისთვის და ყველას, ვინც რაიმე დახმარება გაუწია სეირნობას.

დედა მონასტრის **იგუმენია ნინო.**


## განცხადებანი

**კირველი კერძო სამკურნალო დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალის, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა-სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**საღამოთი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(Ў.—1—204)

კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელ

გლეხთა ამხანაგობა

„კახეთი“

Товарищество крестьянских виноградовладельцевъ

„Кахетія“

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა სავაჭროში, მაღაზიებში და სასმელების დუქნებში.

10 ბოთლს ზევით ეზავნებათ ჩვენის ხარჯით თბილისში.

По такой этикетъ продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

Адресъ: Тифлисъ, Русская ул. № 7. Михаилу Никол. Кодашвили.

(100—6.—10)



**მოდისა, მკვიდრი, მშვენიანი**

და გასინჯულია მხოლოდ ჩვენი პატენტიანი საათი „**დეკადანსი**“. საათი მალიან თხელია მვერცხლისა და სხვა და სხვა დახატულ სურათებით (იხ. სურათი), ღერძები **ქვებზეა** დაყენებული და იმართება უგასაღებოდ 40 საათში ერთხელ. თავის პირვანდელ შნოს თავის დღეში არა ჰკარგავს. ღირს 12 მან. მაგიერ **მხოლოდ 3 მან. 30 კ.**, 2 ცალი კი 6 მ. 50 კ. ამისთანავე ქალის საათი ღირს 4 მ. 50 კ.

**გირჩევთ** გამოიწეროთ მხოლოდ საათი „**დეკადანსი**“, და ყოველთვის მადლიერი დაგვრჩებით. საათს ვგზავნი კარგათ გადასინჯულს ფასდადებით და უბეღდ ექვსი წლის თავდებობით რომ მკვიდრი იქნება. გადაგზავნა, რომ სწორედ ივლის, და 25 წლის თავდებობით, ფული 75 კ. და 1 მ., 4 ცალისა 40 კ. (ციმბირში 75 კ.). მეწკვები ახალ ოქროსი ბრელოკით 75 კ. და 1 მ., 50 კ., ორ-კეცი 2 მ. 50 კ. და 3 მ. 50 კ.

ადრესი: И. Штрумфельду, Варшава, св. Креста М 48-е отдѣл. 94.

ეს ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრა დააკრათ კონვერტზე.

(1—6.—1)

(Метцль и к-о. N 64135.)



**ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.**

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული „**სისტემა ზინგერ**“-ზე. საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ჩვენ გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერმოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ადრესი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—85)